# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 9 იანვარი 2008 №001 (3225) ფასი 50 თეთრი


## დასამალი არაფერია: მაკარიძემ, ჰამბურგში მივდივარო



ბადრი კეთილაძის ფოტო

თუ გახსოვთ, შემოდგომაზე იყო, რომ ითქვა, საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა მეკარე გიორგი მაკარიძე „ჩელსიში" მიდისო. ეს ცნობა გერმანულ პრესაში დაიწერა, თუმცა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა მაკარიძის ლონდონური ვარიანტი მაშინვე უარყო. ეს კი თქვა, საქართველოში მაკარიძისთვის ბევრი ცდილობს თავგზის აბნევას და რაც უფრო მალე გავარიდებთ აქაურობას, მით უკეთესი იქნებაო.

და ახალი უცხოური ვარიანტი — ჭაბუკ მეკარეს „ჰამბურგი" ეპატიჟება.

ეს ამბავი თავად მაკარიძისგან შევიტყვეთ, რომელსაც გუშინ დავურეკეთ.


*ინტერვიუ გიორგი მაკარიძესთან იხილეთ მე-3 გვერდზე.*


# კვიპროსიც და იტალიაც ქართულად ლაპარაკობენ

## გოლებამდე ჩვენი სიტყვა გაგვეტანოს!

6 სექტემბერი

იტალია — საქართველო

10 სექტემბერი

საქართველო — ჩერნოგორია

11 ოქტომბერი

კვიპროსი — საქართველო

15 ოქტომბერი

საქართველო — ბულგარეთი ან ირლანდია



ბადრი კეთილაძის ფოტო

**შარშან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა „სარბიელის" ალბათ ყველაზე ხშირი სტუმარი იყო. საახალწლოდ ჩვენც დავისვენეთ და უგულავამაც დაისვენა ჩვენგან, თუმცა ჩაიარა სადღესასწაულო დღეებმა და ქართული ფეხბურთის ახალი ამბების შესატყობად ისევ ფედერაციის გენმდივანს დავუკავშირდით...**

— უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე მოლაპარაკებას 14 იანვარს, სოფიაში დავიწყებთ — გვითხრა უჩა უგულავამ — თუ საჭირო გახდა, მოლაპარაკებას მეორე დღესაც გავაგრძელებთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. 14-15 იანვარს ჩვენი ჯგუფი კალენდარზე თუ ვერ შეთანხმდება, საქმეს ფიფა გაარკვევს.

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის კალენდრის სათავისო ვარიანტი ალბათ უკვე მზად აქვს...**

— დიახ, სოფიაში გამზადებული ვარიანტით მივდივართ.

**— თქვენი ვარიანტი მეტოქეებთან უკვე შეთანხმებულია?**

— კვიპროსთან და იტალიასთან უკვე შევთანხმდით, ჩვენი ვარიანტის წინააღმდეგი არც ირლანდიაა...

**— წინააღმდეგი არც ირლანდიაა — ეს როგორ გავიგოთ?**

— მათ თქვეს, რომ სტადიონების პრობლემა აქვთ...

**— ნაკრები გუნდების ტექნიკური სპონსორი ისევ „დიადორა" იქნება?**

— ჯერჯერობით ზუსტად ვერ გეტყვით, ამჟამად მოლაპარაკება სწორედ „დიადორასთან" და „ადიდასთან" მიმდინარეობს, შესაძლოა, საქმეში „სალერი" და სხვა ფირმებიც ჩაერთონ. მოკლედ, გვსურს, რომ ტექნიკური სპონსორის ამბავი თებერვალში გადაწყდეს...

**კობა ინასარიძე**

# თავდამსხმელ შოთა არველაძეს იქით დაესხნენ!





## რას ითხოვს ლევანტეს ყიამყრალი პრეზიდენტი?

# მომეწონოს და წავალ!

## მალხაზ ასათიანი: ხიზანიშვილის ამბავს აუცილებლად მოვაგვარებთ



„ახალ წელს მშობლიურ ქუთაისში, ოჯახში შევხვდი. ბედნიერება და ჯანმრთელობა ვუსურვეთ ერთმანეთს. ცხადია, მოვულხინეთ, მაგრამ პირადად მე ზომიერების ფარგლებში. რამდენიმე ჭიქა ღვინოზე უარს როგორ ვიტყოდი“ — გვითხრა მალხაზ ასათიანმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ლიდერმა საახალწლო-საშობაო არდადეგები საქართველოში გაატარა, დღეს კი რუსეთის დედაქალაქში გაფრინდება — სეზონისწინა მზადება იწყება...

— ჯერ მოსკოვში შევიკრიბებით, 12 იანვარს კი შეკრებაზე მივდივართ, სავარაუდოდ, თურქეთში მოვემზადებით.

**— გიორგი ჭელიძეც ალბათ შენთან ერთად ჩავა მოსკოვში...**

— ასეა. გიორგი „ლოკომოტივს“ ეკუთვნის და, შესაძლოა, შეკრებაზეც წამოგვყვეს. ვნახოთ, ეგებ, დაიტოვონ კიდეც გუნდში.

**— „ლოკომოტივის“ ახალ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვს თუ იცნობ?**

— ერთი-ორჯერ შევხვდით ფეხბურთელები. ახლა შევიკრიბებით და უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს.

**— არა და არ წყდება ლაპარაკი, ასათიანით ცნობილი ევროპული კლუბები არიან დაინტერესებულნიო...**

— ჯერჯერობით ყველაფერი გაურკვეველია. დაინტერესება რომ არის, გაზეთებიდან მესმის, თორემ პირადად არავინ დამკავშირებია.

**— წასვლის სურვილი თუ გაქვს?**

— კლუბს გააჩნია... თუ კარგი ევროპული გუნდი იქნება და „ლოკომოტივთან“ და ჩემთან შეთანხმება მოხერხდება, ძალიანაც კარგი. უარს ნამდვილად არ ვიტყვი.

**— ქუთაისში იყავი და არ შეიძლება, იმ ტრაგედიაზე არ გკითხო, შენს პირველ მწვრთნელ თემურ ნადირაძის ოჯახს რომ შეემთხვა...**

— სიტყვების პოვნა მიჭირს... ამ კაცის მიმართ სამუდამოდ მადლიერი ვიქნები. კარგის მეტი მასზე არასოდეს მითქვია და არც არასოდეს ვიტყვი...

**— სანაკრებო თემაზეც ვთქვათ: 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ჯგუფს როგორ შეაფასებ?**

— წინა ჯგუფთან შედარებით იოლია, მაგრამ როგორ გინდა, სუსტი დაარქვა, როცა იტალიაა, ბულგარეთია, ირლანდიაა... ისე, იტალია რომ გამოკვეთილი ფავორიტია, თქმაც არ უნდა.

**— ჯგუფიდან გასვლის პერსპექტივა?**

— ბრძოლაა საჭირო! რასაც ჰქვია, ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და ყველა მატჩში მაქსიმუმი უნდა გავიღოთ. აი, მაშინ შეიძლება...

**— ნაკრებში 17 წლის ფეხბურთელები გამოჩნდნენ, მათთან ერთად რამდენიმე მატჩი ითამაშე და როგორ ფიქრობ, შეუძლიათ მთელი ციკლის სტაბილურად ჩატარება?**

— მთელი ციკლისა რა გითხრათ... 17 წლისამ კი არა, შეიძლება გამოცდილმა ფეხბურთელმა ვერ ითამაშოს სტაბილურად. ფაქტი ისაა, რომ ძალიან ნაჭიერები არიან, სულს და გულს დებენ მინდორზე და რაც უფრო მეტი ასეთი ტალანტი გამოჩნდება საქართველოში, მით უკეთესი.

**— ზურაბ ხიზანიშვილის გახმაურებულ ამბავზეც გკითხავ. ნაკრების ლიდერები კლაუს ტოპმიოლერთან საუბარს ხომ არ აპირებთ ამ საკითხზე?**

— აუცილებლად. ტოპმიოლერსაც და ნოდარ ახალკაცსაც დაველაპარაკებით. ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს, დასაკარგი ფეხბურთელები არ გვყავს. ხიზანიშვილი საკვანძო მოთამაშეა და ნაკრების გარეთ არ უნდა იყოს. როდესაც ნაკრები შეიკრიბება, საუბარიც მაშინ გვექნება.

**ილია ნანობაშვილი**



# თავდამსხმელ არველაძეს იქით დაესხნენ

## რას ითხოვს ლევანტეს ყიამყრალი პრეზიდენტი?

**ტრავმამოშუშებული** შოთა არველაძე საახალწლო დღესასწაულს არცთუ კარგ განწყობაზე შეხვდა — წერს პოპულარული სააგენტო football365.

მიზეზი ესპანური „ლევანტეს“ ექსცენტრული პრეზიდენტი პედრო ვილიაროელია, რომელმაც არველაძის ტრანსფერს ფუჭი უწოდა და ჟურნალისტებს განუცხადა, მისი ყიდვა ჩვენი დიდი შეცდომა იყოო.

საქართველოს ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი „ლევანტეში“ სეზონის წინ გადავიდა ჰოლანდიური „ალკმაარიდან“, თუმცა ახალ გუნდში ოფიციალური მატჩი ჯერაც არ ჩაუტარებია — შოთა მალევე დაშავდა და ახლაღა გამოჯანმრთელდა.

„ჩვენი ქომაგები იდიოტები არიან, შოთა არველაძე კი ჩვენი გამოუსწორებელი შეცდომაა“ — ასეთი სიტყვები წამოსცდა ვილიაროელის მყრალ ბაგეთ და, როგორც ჟურნალისტები წერენ, ამან დეპრესიაში ჩააგდო ქართველი თავდამსხმელი.

ვილიაროელს ესპანეთში ყიამყრალ კაცად იცნობენ და მისი ასეთი კომენტარები არავის უკვირს, თუმცა ჩვენი კოლეგების აზრით, „ლევანტეს“ პრეზიდენტი ამ შემთხვევაში სხვაზე შეტევით უფრო თავს იმართლებს — პრიმერადივიზიონის კლუბი ამჟამად უბედურ დღეშია, არც ქულები აქვს და არც ფულები.

„თუ კლუბის ხელმძღვანელობა ფინანსურ პრობლემებს დროულად მოაგვარებს, გადარჩენას შევძლებთ. ვფიქრობ, 38-39 ქულით პრიმერადივიზიონში დარჩენა შეიძლება — განაცხადა „ლევანტეს“ იტალიელმა მწვრთნელმა ჯანი დე ბიაზიმ — შოთა არველაძე ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ახლა მოავარია, მან ფიზიკური კონდიციები აღიდგინოს, თუმცა ისიცაა, რომ მხოლოდ მასზე დაყრდნობა არ შეიძლება“.

აი, ასეთი ამბებია „ლევანტეში“ და იმედია, შოთა მალე თავის სიტყვასაც იტყვის.

**კახა შალამბერიძე**

# გოგიტა გოგუას რუსული ვერსიები: ხიმკი ან სპარტაკი

**ერთწლიანი** ურთიერთობის შემდეგ რამენსკოეს „სატურნისა“ და გოგიტა გოგუას გზები გაიყარა.

ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს თამაშს გოგუა, თუმც რუსულ ვებგვერდებს ორი სავარაუდო ვერსია აქვთ — „ხიმკი“ და ნალჩიკის „სპარტაკი“.

შეგახსენებთ, რომ გოგუა „სპარტაკში“ 2006 წლის სეზონშიც თამაშობდა და გუნდის ლიდერადაც ითვლებოდა. იმავ წელს გოგუა პრემიერლიგის საუკეთესო დებიუტანტად დაასახელეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კალაძე ბენიტესის ოცნება და დარდია



„ლივერპულის“ მთავარ მწვრთნელ რაფაელ ბენიტესს „მილანის“ ქართველი მცველი კახა კალაძე ისე მოსწონს, რომ დღე არ გავა, მასზე რამე არ თქვას.

გეხსომებათ, ბენიტესს ჩვენებურის გადაბირება სურდა, თუმცა ეს ტრანსფერი ჩაიშალა, მისტერ რაფა კი ახლაც მისტირის თავისი „ოცნების გუნდს“.

„თუნდაც მცირედი მხარდაჭერა რომ მქონოდა, ახლა მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გუნდი გვეყოლებოდა. სამწუხაროდ, იძულებულნი გავხდით, უფრო იაფფასიან და დაბალხარისხიან ფეხბურთელებს დავჯერდეთ“ — აცხადებს ბენიტესი.

თავისი „ოცნების გუნდის“ შესაქმნელად კი ბენიტესს ექვსი ფეხბურთელის ყიდვა სურდა, აქედან ოთხი მცველია.

„ახლა დაცვის ფლანგებს დანიელ ალვეში და გაბრიელ ჰაინცე უნდა აკონტროლებდნენ, ცენტრს კი ნემანია ვიდიჩი და კახა კალაძე ამაგრებდნენ. სასიამოვნო იქნებოდა ნახევარდაცვის ფლანგებზე სიმაოსა და მანსინის ხილვაც“ — ოხრავს და წუწუნებს ბენიტესი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**

ლეიტონი 3:0 ტრანმერი
იოვილი 0:2 უოლსოლი

**მეორე დივიზიონი**

მანსფილდი 0:4 უიკომბი

**კონფერენსლიგა**

ალტრინჩემი 2:1 კიდერმინსტერი
ოქსფორდი 0:1 ვეიმუთი

**ლიგის თასი. ნახევარფინალი პირველი მატჩი**

ჩელსი 2:1 ევერტონი

**LDV TROPHY**

სუონსი 1:0 ბრაიტონი
სტოკპორტი 1:2 გრიმსბი
მორეკემბი 2:0 ბერი
ჯილინგემი 1:1დ.დ.(4:53) დონსი

### შოტლანდია

**პრემიერლიგა**

სენტ მირენი : რეინჯერსი გადაიდო

### თურქეთი

**თასი. A ჯგუფი**

რიზე 2:1 დიარბაქირი
ბეშიქთაში 3:1 ანკარა

**C ჯგუფი**

ალანიასპორი 0:3 გაზიანთეფი

### ამხანაგური მატჩები

რუსენბორგი 2:0 ჰელსინგბორგი
შალკე 3:1 ფრაიბურგი
ლას პალმასი 2:0 ლაუტერნი
საამიროები 0:2 მილანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი მაკარიძემ ჰამბურგი არ დამალა



2007 წელი წარმატებული იყო თბილისის „დინამო 2"-ის მეკარე გიორგი მაკარიძისთვის. 17 წლის ბიჭს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში არ უთამაშია, ისე უხმო კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებში და მასაც თავი არ შეურცხვენია. ამის შემდეგ ტოპმიოლერმა გიორგი „მიუნხენ 1860"-ში გაუშვა სტაჟირებაზე და მაკარიძემ იქაც მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. გიორგი ახლა თბილისშია, მას ჯერ შობა-ახალიწელი მივულოცეთ და მერე სხვა ამბებიც გამოვკითხეთ...

— მილოცვისთვის დიდი მადლობა. მეც ვულოცავ მთელ საქართველოს! 2008 წელი ქართული ფეხბურთისთვის წარმატებული ყოფილიყოს!

— როგორ შეხვდი ახალ წელს?

— ტრადიციულად, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად. კარგად გავერთეთ.

— თბილისის „დინამომ" მეორე წრისთვის მზადება დაიწყო და შენი საქმე როგორ არის?

— სარეზერვო გუნდმაც ახლახან დაიწყო მზადება და მეც იქ ვვარჯიშობ. მანამდე კი ინდივიდუალურად ვემზადებოდი...

— დუშან უჰრინის გუნდში შენი გადასვლა გამორიცხულია?

— დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს. „დინამოსთან" კონტრაქტით რამდენიმე თვე კიდევ დამრჩა და არ ვიცი, მერე რა იქნება. აქ დარჩენას წასვლა მირჩევნია.

— ამას წინათ „მიუნხენ 1860"-ში იყავი სტაჟირებაზე. როგორც ვიცით, რამდენიმე გერმანული კლუბია შენით დაინტერესებული...

— 5 იანვარს უნდა წავსულიყავი გერმანიაში, მაგრამ რაღაც შეფერხებაა. არ დავმალავ, მართლაც არის დაინტერესება გერმანული კლუბებიდან. ერთ-ერთი ვარიანტი „ჰამბურგია", არის ინგლისური წინადადებაც და ვნახოთ, რა გამოვა... ალბათ გერმანიაში წავალ და ეს მალე მოხდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# იაშვილის საშობაო მონაგარი: საუკეთესოობა, ჩემპიონობა, სამკლავური

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" გერმანიის ბუნდესლიგის პირველი წრის აღმოჩენად მიიჩნიეს.

სანამ ბუნდესლიგაში შესვენებაა, „კარლსრუემ" „ჰანდერ 13 კაპ"-ის მინისაფეხბურთო ტურნირში ითამაშა და გამარჯვებულიც გახდა.

„კარლსრუემ" ექვსგუნდა ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე „კაიზერსლაუტერნი" 6:2 დაამარცხა, ხოლო „მანჰაიმი" 7:1 გაანადგურა. ნახევარფინალსა და ფინალში კი ერთნაირი ანგარიშით (4:3) სძლია „აინტრახტს" და „ჰოფენჰაიმს".

აღსანიშნავია, რომ იაშვილი ამ ტურნირზე „კარლსრუეს" კაპიტნობდა. მართალია, ქართველმა შემტევმა 4 მატჩში სულ ერთი გოლი გაიტანა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, ორგანიზატორებს ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ელიარებინათ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





# ვუნდერკინდი ჩვენია!
## ლევან ყენია შალკეს იმედია

„**ქართველი** ვუნდერკინდი „შალკეს" საკუთრებაა — ასეთი მქუხარე სიტყვები წერია გერმანულ პრესაში.

ლევან ყენია სულ სამი თვის წინ გახდა 17 წლისა, მაგრამ ის უკვე საქართველოს ეროვნული ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლება და კამათიც არ უნდა, ჩვენი ქვეყნის ყველაზე პერსპექტიული მოთამაშეა.

ლევანის „შალკეში" გადასვლაზე ჯერ კიდევ ერთი წლის წინ საუბრობდნენ. საბოლოოდ, ჩვენიანმა „ხუმარების" 19-წლამდელთა გუნდში დაიწყო ვარჯიში და მაშინვე გამოჩნდა, რომ „შალკეს" ხელმძღვანელობა ჭკუიდან შეშლილი უნდა ყოფილიყო, ამ ბავშვზე უარი რომ ეთქვა.

„ყენიამ 19-წლამდელთა გუნდის მწვრთნელ ნორბერტ ელერტს თავი მოაწონა. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ ბიჭის დატოვება" — ამბობს „შალკეს" გენერალური მენეჯერი ანდრეას მიულერი.

„მოხარულნი ვართ, რომ ქართველი ფეხბურთელი ჩვენია. ის საოცარი ტალანტია, მოედნის ბრწყინვალე ხედვა და ნატიფი ტექნიკა აქვს" — ესეც მიულერის სიტყვებია.

ყენიას „შალკეში" თანამემამულე ლევან კობიაშვილი დახვდა, რომელიც ძალიან აქებს ჭაბუკს და იმ თვისებებზე ეუბნება გერმანელებს, რაც ქართველმა გულშემატკივრებმა ყენიაზე უკვე მშვენივრად იციან.

„ახლა ის გერმანულს სწავლობს. ბევრი რამ უკვე ესმის" — ამბობს 17 წლის ტალანტზე კობი.

დღედღეზე „შალკეს" 19-წლამდელებს ტურნირი ეწყებათ, რომელიც მთელი გერმანიის მასშტაბით იმართება, ჰოდა, ყენიას დებიუტიც აქ შედგება.

და „შალკეს" ძირითად გუნდში?

ლევანის კონტრაქტი ასეთია — როგორც კი 18 წლის გახდება (წლეულს 18 ოქტომბერს), კონტრაქტი ავტომატურად პროფესიონალური ხდება. ყენიას ხელშეკრულება 2012 წლის 30 ივნისამდეა.

**ილია ნანობაშვილი**

# უკრაინული საქართველო

**უკრაინის** ჩემპიონატში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები სატრანსფერო მოლოდინში არიან.

ლაშა ჯაკობია თავისუფალი აგენტის სტატუსით ჯერ კიდევ ახალ წლამდე გადავიდა პოლტავის „ვორსკლაში", საახალწლოდ კი დნეპროელი ჯაბა კანკავას და „ზარიას" ნახევარმცველ ვლადიმერ ბურდულის გარდა ყველა ჩვენიანი კლუბის გამოცვლა ელის.

დავით კვირკველია ზაპოროჟიეს „მეტალურგს" ანთალიურ შეკრებაზე კი გაჰყვა, მაგრამ არ არის გამორიცხული, იქვე მყოფ დონეცკის „მეტალურგს" შეუერთდეს.

უჟგოროდის „ზაკარპატიეში" იჯარის წესით მოთამაშეები, ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი პირველი წრის მერე კიევის „დინამოს" კი დაუბრუნდნენ, თუმც კიეველებმა ახლა „ხარკოვში" გაანათხოვრეს.

კიევის „არსენალმა" გიორგი დემეტრაძე იმის იმედად იყიდა, რომ გუნდის ლიდერი გახდებოდა, მაგრამ ჩვენებურმა ალექსანდრ ზავაროვის იმედები ვერ გაამართლა და ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ჯდომა. პირველი წრის მერე კი „არსენალმა" დემეტრაძე ტრანსფერზე დააყენა.

გაურკვეველია ვასილ გიგიაძის მომავალიც — 2006-07 წლების უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთმა მთავარმეგოლემ მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრე ახტირსკის „ნეფტიანიკში" აშკარად ჩააგდო. გიგიაძე იქ კრივოი როგის „კრივბასიდან" იყო განათხოვრებული, ახლა კი მისი შეძენით ლუგანსკის „ზარიაა" დაინტერესებული.

„ზარიას" ხელმძღვანელობას გიგიაძის გადაბირება კი სურს, თუმცა ერთ ქართველს უკვე შეელია — გიორგი ციმაკურიძესთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა და ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


დავით კვირკველია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფეხბურთო ამბავ-ხაბარი

**28 დეკემბრის შემდეგ „სარბიელის" ახალი ნომერი დღეს გამოვიდა და ამ ხნის განმავლობაში ქართულ კლუბებში რამდენიმე ცვლილება მოხდა. ქართული ფეხბურთის ყოველდღიურ ცხოვრებას რომ არ ჩამოვრჩეთ, მოდით, თვალი გადავავლოთ, სად რა და როგორ იყო...**



## ახალი ამბავი ალავიძეა

**თბილისის** „ლოკომოტივმა" მეორე წრისთვის მზადება 25 დეკემბერს თბილისში დაიწყო. მერე გიორგი კიკნაძის გუნდმა საახალწლოდ რამდენიმე დღე დაისვენა და 3 იანვარს განაახლა წვრთნა.

მოგეხსენებათ, გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და, ბუნებრივია, მათ ნაცვლად სხვებს იწვევენ. გიორგი ქუცურუა ბოლნისის „სიონიდან" შეიმატეს, ახალციხის „მესხეთიდან" მოვიდა ალექსანდრე კაიდარაშვილი და აი, ახალი ამბავიც — რამდენიმე დღეა, გუნდს რუსთავის „ოლიმპის" მეკარე მიხეილ ალავიძე შეუერთდა.

„ლოკომოტივი" დღეიდან ორჯერად ვარჯიშზე გადავა, 25 იანვარს კი უცხოურ შეკრებაზე წავა, სავარაუდოდ, ანთალიაში.

**ნუკრი ლოლაძე**

## აზერული განრიგი

**15-18 იანვარს** აზერბაიჯანში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი ფუტსალში. მასპინძელთა გარდა მასში ირანის, ყაზახეთისა და საქართველოს ნაკრებებიც ითამაშებენ.

გეხსომებათ, ქართველები ამ ტურნირზე მას შემდეგ მიიწვიეს, რაც რუსეთის ნაკრებმა განაცხადა უარი.

აზერბაიჯანელებმა უკვე გამოაქვეყნეს თამაშების განრიგი:

15 იანვარი: ყაზახეთი — საქართველო; ირანი — აზერბაიჯანი;

16 იანვარი: ყაზახეთი — ირანი; აზერბაიჯანი — საქართველო;

18 იანვარი: ირანი — საქართველო; აზერბაიჯანი — ყაზახეთი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**ბოლნისის** „სიონმა" ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადება ჯერ კიდევ შარშან, დეკემბრის ბოლოს დაიწყო. ამ წლის სიახლეები კი ის არის, რომ ქვემოქართლელებთან ერთად შოთა ჯიქია და ბექა ნოზაძე ვარჯიშობენ.

გავიხსენოთ: ჯიქია თავდამსხმელია და აქამდე „ბორჯომში" თამაშობდა, საყრდენი ნახევარმცველი ნოზაძე კი „მერანიდანაა".

„სიონში" სხვა სიახლეებიცაა. კლუბიდან რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა: გიორგი თავბერიძე, მანუჩარ კვიციანი, არჩილ ნოზაძე, მიხეილ კოსტავა, მამუკა მენთესაშვილი და გიორგი ქუცურუა. ამ უკანასკნელის თაობაზე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარიერას თბილისის „ლოკომოტივში" გააგრძელებს, დანარჩენებზე კი ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს ვიტყვით.

„სიონი" ორ მოსამზადებელ შეკრებას გეგმავს: ერთი ბაკურიანში იქნება, მეორე, სავარაუდოდ, იალტაში.

ჯერჯერობით გუნდს ქალაქის გამგეობა ეხმარება, თუმცა ამ დღეებში ახალი მეპატრონის გარკვევასაც ელიან.

ისეც შეიძლება მოხდეს, რომ „სიონი" ულეგიონეროდ დარჩეს — ერიკ რომეო ჩასემი „ზესტაფონთან" ერთად ვარჯიშობს, ბოიომო ფრიდოლინს აზერბაიჯანული ვარიანტი გამოსჩენია, გასტონ ევორე კი საქართველოდან უკვე წავიდა.



ერიკ რომეო ჩასემი

**ჩასემის** „ზესტაფონთან" ერთად ვარჯიში ვახსენეთ და, სხვა ზესტაფონური ამბებიც ვთქვათ. გუნდი კაპიტანმა კახა ჩხეტიანმა დატოვა, რომელსაც კონტრაქტი დაუსრულდა. მის ახალ ადგილსამყოფელზე ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ. გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის ამბავში მეტი სიცხადეა: იმერეთში იჯარით მყოფი ფეხბურთელი თავის კლუბს, მოსკოვის „ლოკომოტივს" დაუბრუნდა, ხოლო ჩასემთან კონტრაქტს ზესტაფონელები, სავარაუდოდ, ამ დღეებში გააფორმებენ.

„ზესტაფონზე" ესეც ვთქვათ: გუნდი ახლა ბაკურიანშია, თვის ბოლოს კი ანთალიაში გაემგზავრება.

ზესტაფონელებმა ერთი შეკრება შარშანაც თურქეთში გაიარეს.

**მეორე** წრისთვის მზადება გუშინ გორის „დილამ" დაიწყო, თუმცა მთავარი — წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობა ჯერაც უცნობია. ამ დროისთვის მხოლოდ ის ვიცით, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი გორში ვარჯიშობს, მერე კი, სავარაუდოდ, თბილისში გადაინაცვლებს. არც სპარინგ-პარტნიორთა ვინაობაა ცნობილი, თუმცა გორელები ამხანაგურ მატჩებს რომ ჩაატარებენ, ბუნებრივია.

**ნაახალწლევს** ვარჯიში განაახლა ჩემპიონატის ლიდერმა „დინამომ". ოღონდაც პირველ დღეებში გუნდს ილია სპასოევიჩი და ჟორჟ აკირემი აკლდნენ. ორივემ არდადეგები სამშობლოში გაატარა, თანაც ჩერნიგორიელს დროულად ჩამოსვლაში ავადმყოფობამაც შეუშალა ხელი.

სამაგიეროდ, „დინამოს" დაუბრუნდნენ გიორგი ნერგაძე და შოთა გრიგალაშვილი.

შეგახსენებთ: ორივე „ბორჯომში" იყო განათხოვრებული.

დიდი შანსია, მეორე წრიდან „დინამოს" პირველი გუნდის წევრები გახდნენ მცველი ლევან კაკუბავა, ნახევარმცველი გიორგი ქავთარაძე და ფორვარდი ზვიად ქანთარია, რომლებიც „დინამო 2"-ის მოთამაშეები არიან, ახლა კი დუშან უჰრინის მეთვალყურეობით ვარჯიშობენ.

მზადების მეორე ეტაპს კი „დინამო", „ზესტაფონის" მსგავსად, ანთალიაში გაივლის, სადაც რამდენიმე სპარინგ-პარტნიორი უკვე შეგულებული ჰყავს: კიევის „არსენალი", ზაპოროჟიეს „მეტალურგი" და დონეცკის „მეტალურგი".

**სიახლეებია** საქართველოს თასის ორგზის მფლობელშიც. გიზო ჯელაძემ „ამერი" ჯერ კიდევ დეკემბერში დატოვა და ძმასთან, ზვიადთან წავიდა ყაზახურ „ვოსტოკში". მის მერე კი გუნდი კიდევ სამმა ფეხბურთელმა დატოვა: ვახტანგ ხვადაგიანმა, მიხეილ კობაურმა და გიორგი ვარდოსანიძემ.

ამათგან „ამერისთვის" ყველაზე დიდ ძალას ხვადაგიანი წარმოადგენდა, ვინც თავის დროზე სამჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში, მაგრამ ტრავმებს და ასაკს თავისი მიაქვს და 35 წლის მცველს სულ უფრო და უფრო უჭირდა მოედანზე გასვლა.

**მთლად** ქართული თემა არ არის, მაგრამ მაინც: სამარის „კრილია სოვეტოვს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ლეონიდ სლუცკი. ჩვენთვის კი ეს ამბავი იმად არის საინტერესო, რომ ამ გუნდში დავით მუჯირი თამაშობს.

„მუმუ" ახალი სეზონისთვის მზადებას საამიროებში, ესპანეთსა და ჰოლანდიაში გაივლის.

**ქართველი** ფეხბურთელი ითამაშებს თემურ ქეცბაიას „ანართოსისში". 29 წლის კლიმენტი წიტაიშვილი იქ ორი წლის წინაც თამაშობდა, მერე კი კლუბი შეიცვალა და ახლა ისევ ქეცბაიასთან დაბრუნდა.

წიტაიშვილის ახლანდელი კონტრაქტი 6-თვიანია და სეზონის ბოლოს დამთავრდება.

**კოტე კეკელია**



გურამ დოლიძეუშვილის ფოტო

## სტანდარტული ტრანსფერი: კახა ცხადაძე

**ქართველ** მწვრთნელ-ლეგიონერთა სია გაიზარდა — კახა ცხადაძემ აზერბაიჯანულ „სტანდარტთან" ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

აზერბაიჯანული პრესა დღესაც იხსენებს ბოლნისის „სიონისა" და „ბაკის" საევროთასო შეხვედრისას ამ გუნდთა მწვრთნელების, კახა ცხადაძისა და ბოიუკაგა გაჯიევის შეხლა-შემოხლას.

იმასაც აღნიშნავენ, რომ ცხადაძეს ინციდენტი საქართველოს გასულ ჩემპიონატშიც შეემთხვა და მკაცრად დაისაჯა კიდეც, თუმცა არც იმას მალავენ, რომ ცხადაძე საქართველოში ორი გუნდის („დინამოს" და „სიონის") მწვრთნელი იყო და ორჯერვე იჩემპიონა, თანაც ბოლნისურ კლუბში მუშაობისას წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ვეტერანები და ცაავა




**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებული ტურნირი „ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე" ვეტერან ფეხბურთელთა გამარჯვებით დასრულდა: ფინალში მათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 5:3 სძლიეს.

ფინალში ორი გოლის გამტანი, ვეტერან ფეხბურთელთა ლიდერი გრიგოლ ცაავა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მას (ისევე, როგორც გამარჯვებულ გუნდს) კომპანია „ელიტ-ელექტრონიქსისგან" სამახსოვრო პრიზი გადაეცა.

**კახა შალამბერიძე**

## ორი პოლონეთი საევროპოდ




**ფუტსალში** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი წლეულს პირველად გაიმართება — ფინალური ეტაპი 6-14 დეკემბერს სანკტ პეტერბურგში ჩატარდება. იქ მოსახვედრად კი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს სლოვენიის, ბელგიისა და ბულგარეთის ნაკრებებთან მოუწევს გაჯიბრება.

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას თებერვლიდან შეუდგება. საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ პოლონელებთან უკვე მიაღწია შეთანხმებას და გადაწყდა, რომ 11 და 14 თებერვალს ხოჟუვში ჩვენები პოლონელ თანატოლებს ორჯერ გაეჯიბრებიან.

საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივნის ბექა კვიციანის თქმით, ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა 20 იანვარს დასახელდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ვითიბი-ბანკი: პროფლიგის გენერალური სპონსორი!

**სასტუმრო** „თბილისი მარიოტში" საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ საახალწლო მიღება მოაწყო და ვითიბი-ბანკთან უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება გააფორმა — 4 წლის განმავლობაში პროფლიგის ოფიციალური სპონსორი და საქართველოს სუპერთასის გენერალური სპონსორი ვითიბი-ბანკი იქნება.

როგორც შევიტყვეთ, ვითიბი-ბანკი დაახლოებით ნახევარ მილიონ ლარს ჩადებს ქართულ ფეხბურთში.

„თბილისი მარიოტში" შედგა პროფლიგის ყოველწლიური ჟურნალის მეოთხე ნომრის პრეზენტაციაც.

**კახა შალამბერიძე**

# ლუის ვან გაალის ტაქტიკა და ფილოსოფია

## ჰოლანდიელი ნაკრებს 65 წლამდე ელოდება

**ლუის ვან გაალი თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე სახელიანი მწვრთნელია. 56 წლის სპეციალისტმა განსაკუთრებულად წარმატებით „აიაქსსა“ და „ბარსელონაში“ იმუშავა. მის ხელში მრავალი მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავია გამოზრდილი. 2005 წლის მერე იგი „აალკმაარს“ წვრთნის და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. სხვათა შორის, სათამაშო კარიერა მან სწორედ ამ კლუბში დაასრულა და მწვრთნელობაც იქ დაიწყო ასისტენტის რანგში. ვან გაალი FIFA.COM-ს გაესაუბრა...**



**— ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად მართლა რეალურად განგიხილავდნენ?**

— ადრე ვთქვი, თუ „ალკმაარს“ დავტოვებ, მხოლოდ რომელიმე ნაკრებისგან მიღებული წინადადების გამო-მეთქი. ჰოდა, როცა ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტური გახდა, პრესამ ჭორების მთა ააგორა. არადა, „ალკმაარში“ თავს ჩინებულად ვგრძნობ, აქ ბრწყინვალე ატმოსფეროა და კლუბთან 2010 წლამდე მაქვს კონტრაქტი.

**— ანუ რომელიმე ნაკრების მწვრთნელობა თქვენი მიზანი აღარ არის?**

— როგორც არაერთხელ მითქვამს, ჩემი სურვილია, რომელიმე დიდ სანაკრებო ტურნირში მივიღო მონაწილეობა და გავიმარჯვო. საკლუბო კარიერაში ფაქტობრივად ყველაფერი მოგებული მაქვს და რაც მაკლია, ეს ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულია. მე კონტრაქტებს ყოველთვის პატივს ვცემდი და ვიცი, რომ „ალკმაარს“ ჩემი შენარჩუნება სურს. სანამ 65 წლის გავხდები, იქამდე თუ ჩავიბარებ რომელიმე ნაკრებს, მერე კი ნაკრებს არავინ მანდობს...

**— სინანულით იხსენებთ იმ პერიოდს, როცა ჰოლანდიის ნაკრებს წვრთნიდით?**

— მე ყოველთვის აწმყოსა და მომავალს ვუყურებ, წარსულს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ძალიან სამწუხაროა, რომ ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად დიდი ტურნირი ვერ მოვიგე. საკლუბო კარიერაში თითქმის ყველაფერს მივაღწიე და ძალიან მინდა, რომ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატი მოვიგო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ალკმაარის“ ერთგული არ ვიქნები.

**— ხალხი „ვან გაალის სისტემაზე“ ლაპარაკობს. იქნებ ეს ახსნათ...**

— ეს უფრო ჩემი ფილოსოფიაა, ვიდრე სისტემა. ტაქტიკა ფეხბურთელებზეა დამოკიდებული, ფილოსოფია კი მწვრთნელზე. „აიაქსში“ 4-3-3-ით ვთამაშობდი, „ბარსელონაში“ 2-3-2-3-ით, ახლა „ალკმაარში“ კი 4-4-2-ით ვთამაშობ. ტაქტიკა ყველა გუნდს თავისებური აქვს ჩემი ფილოსოფია კი უცვლელია.

**— მაშინ გვითხარით, რას ნიშნავს თქვენი ფილოსოფია...**

— ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ჩემი ფილოსოფია ყველა გუნდისთვის მისაღებია. მთავარია, შესაბამისი კლუბი იპოვო, შესაბამისი შემადგენლობით. ყველა ფეხბურთელი შენ აზრს უნდა იზიარებდეს და თანაგუნდელების პოზიციის დაცვის სურვილით იყოს ალსავსე.

**— როგორ ვითარებაში იყო „ალკმაარი“, როცა იგი ჩაიბარეთ და როგორ ვითარებაშია იგი ახლა?**

— 2005 წელს, როცა გუნდი ჩავიბარე, 8-ათასიან სტადიონზე ვთამაშობდით, ახლა კი 20-ათასიანი სტადიონი გვაქვს, რომელიც სულ ივსება. ჩვენ დიდი მიზნები დავისახეთ, გვსურს, „აიაქსს“, პსვ-სა და „ფეიენოორდს“ სერიოზული კონკურენცია გავუწიოთ. ფაქტი სახეზეა, უეფას რეიტინგში წინ მივიწევთ და იმედია, ასე გაგრძელდება.

**— როდესაც ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად დიდ გამარჯვებას ვერ მიაღწიეთ, ეს იყო თქვენს კარიერაში ყველაზე დიდი იმედგაცრუება?**

— წაგება ყოველთვის სამწუხაროა.

**— „აიაქსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგეთ, შეგიძლიათ „ალკმაართან“ ერთად იგივე გააკეთოთ?**

— მე კლუბში შესაბამისი რესურსი მჭირდება, რომ კვლავ მოვიგო ტიტულები.

**— „ბარსელონას“ მწვრთნელად ყოფნის პერიოდში თქვენ არაერთი ტიტული მოიგეთ, მაგრამ მაინც ბევრი კრიტიკოსი გყავდათ...**

— „ბარსელონას“ გარდა ბევრი ჯილდო სხვებთან ერთადაც მოვიგე, მაგრამ ამაზე ზედმეტად არ მიტრაბახია.

**— რა იყო სეზონის ასე უფერულად დაწყების მიზეზი?**

— ჩვენ გავყიდეთ ორი ფეხბურთელი არველაძე და კოვერმანსი, რომლებმაც წინა სეზონში ერთად 55 გოლი გაიტანეს. რა გასაკვირია, რომ იმდენი გოლი ველარ გაგვაქვს.

**— რა არის თქვენი, როგორც მწვრთნელის, საუკეთესო მოგონება?**

— „აიაქსთან“ ერთად 1994 წელს მოგებული ჩემპიონთა ლიგა. თუმცა იმავე წელს ჩემი მეუღლე გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. ეს ძალიან ემოციური პერიოდი იყო.

**— იმ ფეხბურთელებიდან, რომლებთანაც თქვენ გიმუშავიათ, დაასახელეთ ყველაზე ნიჭიერი.**

— „აიაქსსა“ და „ბარსელონაში“ იყო რამდენიმე ასეთი...

**— რა იყო თქვენთვის ყველაზე ალსანიშნავი 2007 წელს და რას ისურვებდით 2008 წელს?**

— 2007 წელს ჩვენ მოულოდნელად წავაგეთ ფინალი „ექსელსიორთან“ და იმედი გვაქვს, რომ 2008 წელს მოვიპოვებთ ჩემპიონთა ლიგის საგზურს.

## ბოსნია მეხო კოდროთი

**ბოსნია-ჰერცოგოვინას** ნაკრების მწვრთნელად მეხო კოდრო დანიშნეს. იგი გუნდს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე უთავკაცებს. ბოსნიელთა ყოფილი მწვრთნელი ფუად მუზუროვიჩი დეკემბერში მოხსნეს, მას შემდეგ, რაც ნაკრებმა ევრო 2008-ზე ვერ გააღწია. მეხო კოდროს გარდა კანდიდატები იყვნენ ლოთარ მათეუსი და ზლატკო კრანჩარი, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის ყოფილი კაპიტანი არჩია. კოდროს პირველი გამოცდა 30 იანვარს იაპონიასთან ამხანაგურ მატჩში ელის.

## რა იტალია, რა სერია A?

**ფაბიო კანავარო** იტალიაში დაბრუნებას არ აპირებს და კარიერის დასრულება მადრიდის „რეალში“ უნდა. მსოფლიოს ჩემპიონი მცველი პრიმერადივიზიონში 2006-ის ზაფხულში გადავიდა და ისეთ ფორმაში ველარაა, როგორც მუნდიალზე იყო, რის გამოც სერია A-ში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ. „რეალთან“ კონტრაქტი ერთი წელიწადში მიმთავრდება და არ გამოვრიცხავ, რომ კარიერის ბოლომდე აქ დავრჩე. 2007 წელი ძალიან კარგი იყო ჩემთვის და ყველაფრით კმაყოფილი ვარ“ — თქვა კანავარომ.

## დანიელი დანიაში

**დანიის** 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელად „ლივერპულის“ მცველი დანიელ აგერი აღიარეს. 23 წლის ფეხბურთელმა გამოკითხვაში „სევილიას“ კრისტიან პოულსენს აჯობა. „ძალიან მეამაყება და მოხარული ვარ, რომ ჯილდო მე მერგო“ — თქვა აგერმა, ვინაც კოლეგებმა საუკეთესოდ დაასახელეს. შეგახსენებთ, „ლივერპულის“ ლეგიონერი ტრავმირებულია და 15 სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია.

## მარჯვენა გილე

**„ანდერლეხტმა“** „გენტიდან“ მარჯვენა მცველი გოლომ გილე შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწელიწად-ნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. გილე „გენტში“ 2006 წლის ზაფხულიდან თამაშობდა და მისი პროგრესი იმდენად აშკარა იყო, რომ „ანდერლეხტი“ დაინტერესდა და შეიძინა.

## არაუჟო ციურიხიდან

**ბერლინის** „ჰერტამ“ „ციურიხიდან“ ბრაზილიელი ფორვარდი რაფაელ არაუჟო შეიძინა. გერმანული მედიის ცნობით, ტრანსფერი დაახლოებით 5 მილიონი ევრო დაჯდა. 22 წლის თავდამსხმელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და გერმანულ კლუბს შეუერთდა. შეგახსენებთ, რომ „ჰერტას“ მწვრთნელად ლუსიენ ფავრი ჰყავს, ვინც ამ ზაფხულს სწორედ „ციურიხიდან“ გადაიბირეს. რაფაელს კი შვეიცარიულ ლიგაში 77 მატჩში 39 გოლი გაუტანია.

## ბაზელიდან პორტში

**პრემიერლიგის** „პორტსმუთმა“ „ბაზელიდან“ 18 წლის თავდამსხმელი დანიელ სუბოტიჩი გადაიბირა. მეგოლემ რამდენიმე კვირა გაატარა „პორტსმუთში“ და იქაურ მწვრთნელებს თავი მოაწონა. შვეიცარიის 17-წლამდელთა და 19-წლამდელთა ნაკრებების ფებურთელმა სამწელიწად-ნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჩვენთან მას რეკომენდაცია გაუწიეს და თავი დიდებულადაც წარმოაჩინა“ — თქვა „პორტსმუთის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა.

## აყლაყუდა ბუნდესლიგაში

**„მონაკოს“** და ჩეხეთის ნაკრების გიგანტი მეგოლე იან კოლერი „ნიურნბერგში“ გადავიდა. 34 წლის თავდამსხმელმა ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. მის სანაცვლოდ ბუნდესლიგის კლუბმა დაახლოებით მილიონ 500 ათასი დოლარი გადაიხადა. ჩემი მიზანი „ნიურბერგის“ ბუნდესლიგაში დატოვებაა“ — თქვა იან კოლერმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

## ნადირი პაპენთან

**„ლიონის“** ყოფილმა ფეხბურთელმა ნადირ ბელჰაჯიმ კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა და „ლანსში“ გადავიდა, რომელთანაც სამწელიწად-ნახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა. ბელჰაჯი „ლიონში“ წინა იანვარს მივიდა „სედანიდან“ 3 მილიონ 400 ათასი ევროს სანაცვლოდ, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. მწვრთნელი მას ფაბიო გროსოს და ბენ არფას ამჯობინებს. შეგახსენებთ, რომ „ლანსს“ ლეგენდარული ფრანგი მეგოლე ჟან პიერ პაპენი წვრთნის.

## კაკას იძულებითი დასვენება

**მსოფლიოს** 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ტრავმირებულია — „მილანის“ ნახევარმცველი რიკარდო კაკა თავისი გუნდის ვარჯიშზე ფრანკ იოან გურკუფს შეეჯახა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ კაკას, სულ ცოტა, რამდენიმე დღით დასვენება მოუწევს და რამდენიმე ვარჯიშის გაცდენა არ აცდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დაკეტილი საფულე



**რაფა ბენიტესმა** მოულოდნელად განაცხადა, რომ „ლივერპულიდან“ გაშვებას ელის. როდის? თუკი მერსისაიდული გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან თებერვალშივე გავარდება, ესე იგი, თებერვალში. პესიმისტურმა განწყობამ ესპანელ მწვრთნელს ხელი მას მერე დარია, რაც „ლივერპულის“ ამერიკელმა მეპატრონეებმა ჯორჯ ჯილეტმა და ტომ ჰიკსმა მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე საუბარი იუარეს. ერთი სიტყვით, ბენიტესი და ამერიკელ ბიზნესმენთა ხსენებული წყვილი მორიგი დაპირისპირების ფაზაში შევიდნენ. შეგახსენებთ, გასულ შემოდგომაზე „წითლების“ თავკაცი ჩიოდა, რომ ჰიკსი და ჯილეტი მაღალი კლასის მოთამაშეთა შესაძენად საკმარის ფულს არ აძლევენ, რამაც ამერიკელები გააბრაზა.

საკითხში უკეთ გარკვევისთვის The News of the World-მა ბენიტესის ახლობლებს მიაკითხა და ერთი მათგანისგან ასეთი კომენტარი მიიღო:

„დეკემბერში რაფა ამერიკელ მეპატრონეებს შეხვდა, მაგრამ ამ შეხვედრაზე მისი ახალი კონტრაქტის შესახებ ერთი სიტყვაც კი არ თქმულა. გარდა ამისა, ბენიტესი დარწმუნებულია, რომ კარგი ცენტრალური ნახევარმცველის შესაძენად საკმარის ფულს არ მისცემენ, არადა, მისი ღრმა რწმენით, „ლივერპულს“ წარმატებისათვის სწორედ ნახევარდაცვის შუა ნაწილის გაძლიერება სჭირდება. გაუგებრობაა არგენტინელ ხავიერ მასკერანოსთან დაკავშირებითაც. მასკერანო მერსისაიდელებთან ხელშეკრულების განახლებას არ ჩქარობს, რადგან მას ბენიტესთან სურს თანამშრომლობა, ბენიტესის ამბავი კი გაურკვეველია. შედარებისთვის გეტყვით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ ყოველი საშინაო მატჩიდან დაახლოებით 2 მილიონი გირვანქის ტოლ სარფს იღებს, „ჩელსის“ კი რომან აბრამოვიჩი ჰყავს. „ლივერპული“ ამ სამ გუნდს ვერაფრით უწევს კონკურენციას. რასაკვირველია, რაფას თანამდებობაზე დარჩენა უნდა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მეპატრონეები გაუშვებენ“.

ბენიტესის მიმდინარე კონტრაქტი კიდევ ორი წლითაა ძალაში, მაგრამ საქმეს, როგორც მოგახსენეთ, სულ სხვა პირი უჩანს. ბენიტესის სახელს უკვე სხვა გუნდებსაც უკავშირებენ, მაგალითად მიუნხენის „ბაიერნს“. ზოგი ამბობს, რომ არ არის გამორიცხული ესპანელი სპეციალისტი მადრიდის „რეალშიც“ კი გადავიდეს. ერთი სიტყვით, ბევრი რამ თებერვალში, „ინტერთან“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ დუელზე იქნება დამოკიდებული.

ბენიტესი: „იმისათვის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ რანგის გუნდებს ღირსეული კონკურენცია გავუწიოთ, იძულებულნი ვართ, ყველაფრის თითქმის იდეალურად კეთება ვცადოთ, თორემ სეზონის განმავლობაში „იუნაიტედი“ და მისი რანგის გუნდები გაცილებით მეტ ფულს ხარჯავენ. მათ ყოველ წელიწადს ორი უმაღლესი დონის ფეხბურთელის ყიდვა შეუძლიათ, ეს კი მათ უპირატესობას იწვევს. განა აშკარა არ არის, რომ პრემიერლიგაში ჩვენ მათ ჩამოვუვარდებით? და თუ კონკურენტები ასე ხარჯვას განაგრძობენ, ჩვენსა და მათ შორის სხვაობა კიდევ უფრო გაიზრდება“.

**პაპუნა კედია**

# სანამ ავთანდილოვიჩი მოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



**„ჩელსიმ“** „ბოლტონ უონდერერზს“ კატეგორიულად განუცხადა, რომ ფრანგ თავდამსხმელში, ნიკოლა ანელკაში 12 მილიონ გირვანქაზე მეტს არ გადაუხდის. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ეს ტრანსფერი შედგეს, მეტი აქტიურობა მართებს თავად ანელკასაც. მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის მომგებმა ბოლტონელ მწვრთნელს გერი მეგსონს უფრო მკაცრად უნდა მოსთხოვოს გაშვება.

როგორც ცნობილია, „ბოლტონისა“ და „ჩელსის“ ბოლო ვაჭრობა ასეთი გახლდათ: ლონდონელებმა 10 მილიონი შესთავაზეს, ბოლტონელებმა კი, 15-ს პენსიც არ დააკლდებაო. ცნობისათვის: თავიდან ანელკას ფასად 18 მილიონი იყო გამოცხადებული.

საკუთრივ ფეხბურთელის ერთ-ერთმა ახლობელმა ინგლისელ ჟურნალისტებს ასე უამბო:

„ნიკოლას ძალიან უნდა „ჩელსიში“ გადასვლა და არ სურს „ბოლტონმა“ პარალელურად სხვა კლუბებთანაც გამართოს აუქციონის ტიპის ვაჭრობა“.

პრობლემას ქმნიდა ისიც, რომ „ბოლტონის“ თავმჯდომარე ფილ გარტსაიდი შვებულებაში გახლდათ და სამსახურში ხვალ უნდა გავიდეს.

**პაპუნა კედია**

# ცვლილებები კალიარიში

**სამობაო-საახალწლო** შესვენებისას სერია A-ს აუტსაიდერმა „კალიარიმ“ მწვრთნელის შეცვლა მოასწრო. ნედო სონეტის ნაცვლად, გუნდი დავიდე ბალარდინის ჩააბარეს, ვინც მცირე სასწაული უნდა მოახდინოს და სარდინიელები უმაღლეს სერიაში დატოვოს. ამჟამად „კალიარის“ 17 თამაშიდან მხოლოდ 10 ქულა აქვს და ცხრილის ფსკერზეა.

აღსანიშნავია, რომ ბალარდინის „კალიარიში“ 2005 წელსაც უმუშავია, მაგრამ ხუთი წაგებისა და ოთხი ფრის შემდეგ პოსტიდან დაითხოვეს. ახლა იგი ოპტიმისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ სარდინიელებს სერია A-ში დარჩენა ძალუძთ.

ბალარდინის მოსვლას კლუბში სხვა ცვლილებებიც მოჰყვა. ერთმანეთში ნაჩხუბარ პასკუალე ფოჯასა და დავიდე მარკინის შორის დამნაშავედ საბოლოოდ მარკინი გამოიყვანეს და გაურკვეველი ვადით გუნდიდან მოკვეთეს.

პარალელურად, „კალიარის“ ხელმძღვანელობამ ნახევარმცველ ალესანდრო ბუდელსა და მეკარე ვინჩენცო მარუოკოს განუცხადა — გუნდის გეგმებში აღარ შედიხართ და კონტრაქტები უნდა გაწყვიტოთო.

„ვწუხვარ, რომ სეზონს გუნდთან ერთად ვერ ჩავამთავრებ და აქაურ ფანებთან გამომშვიდობება მომიწევს. ეს გადაწყვეტილება უსამართლოდ მიმაჩნია და დამწუხრებული ვარ, მაგრამ ამაზე ლაპარაკი და სირთულეების შექმნა არ მინდა, ამიტომ კონტრაქტის გაწყვეტას უსიტყვოდ დავთანხმდი და ახლა თავისუფალი აგენტი ვარ. უკვე მაქვს წინადადებები „სამპდორიასგან“, „ტორინოსგან“, „ბოლონიასა“ და სხვა კლუბებისგან“ — თქვა ბუდელმა.

**კოკი კანდელაკი**

# ერთი უბრალო ბიჭი ვარ



**ბოლოხანს** ინგლისში „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ბულგარელი თავდამსხმელის დიმიტარ ბერბატოვის ტრანსფერზე დაუსრულებლად ლაპარაკობენ და ამ საუბრებმა თავად ფეხბურთელსაც გვარიანად მოაბეზრა თავი. საბოლოოდ, საქმე იქამდე მივიდა, რომ 27 წლის ფორვარდმა კატეგორიულად განაცხადა, თავი დამანებეთ, არც 35 მილიონი გირვანქა ვღირვარ და არც სადმე გადასვლას ვეპირები, ჩემს გუნდში მინდა დარჩენა და ჯილდოების მოგებაო. მოგეხსენებათ, დღეს ბერბატოვის „სპურზს“ ქარლინგის თასის ნახევარფინალში „არსენალთან“ „ემირატეზზე“ აქვს შეხვედრა. ამ მატჩის წინ „ბერბამ“ თქვა:

„თანხა, რომელსაც ჩემს ფასად ასახელებენ, სასაცილოა. ამდენი ნამდვილად არ ვღირვარ. საერთოდაც, ამდენი ლაპარაკი ჩემს გამო სწორი არ არის. დავიღალე. აღარ მინდა ჩემი სახელი და გვარი ყოველ დღე გაზეთების პირველ გვერდებზე მხვდებოდეს. მე „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი ვარ და მორჩა“.

ყველაზე ხშირად ბერბატოვის სახელს „ჩელსის“ უკავშირებენ.

**პაპუნა კედია**

# იტალიელის სერიოზული მოგზაურობა ლონდონში

**ინგლისის** ნაკრების იტალიელმა თავკაცმა ფაბიო კაპელომ, მოგეხსენებათ, მიზნად 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა დიდების აღდგენა დაისახა და საამისოდ საკმაოდ სკურპულოზური გეგმაც შეიმუშავა. კაპელო, რომელიც ახალ სამსახურში ოფიციალურად სულ რამდენიმე დღეა რაც მუშაობს, ჯამაგირად დანიშნული 6 მილიონი გირვანქის პატიოსნად გამომუშავებას ჯერჯერობით ასე აპირებს:

— მივიდეს პრემიერლიგის უკლებლივ ყველა კლუბის საწვრთნელ ბაზაზე და გაეცნოს უკლებლივ ყველა მწვრთნელს;

— სანამ თავისი პირველი თამაშისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სიას წარმოადგენს, ყოველ კვირაში ოთხი შეხვედრა ამოირჩიოს და შეისწავლოს მასში მონაწილე ინგლისელი ფეხბურთელების ინდივიდუალური დოსიეები;

— ყოველდღიურად დაესწროს ინგლისურის ორსაათიან გაკვეთილებს. ცნობისთვის: ინგლისის ნაკრების თავკაცად დანიშვნის შემდეგ, დღემდე, შვეიცარიაში, კერძოდ ჟენევაში მცხოვრები კაპელო ყოველდღიურად ოთხსაათიან გაკვეთილებს ესწრებოდა;

— ამ ყოველივესგან თავისუფალ დროს მეუღლესთან, ლაურასთან ერთად შეარჩიოს საცხოვრებელი სახლი ლონდონში.

რასაკვირველია, გარდა ჩამოთვლილისა, ფაბიო კაპელო ივლის ლონდონის სოჰო სკვერზე მდებარე ფეხბურთის ასოციაციის ოფისში.

თუმცა, ამ ეტაპზე, ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად იტალიელ სპეციალისტს ინგლისურის შესწავლა მიაჩნია. მას და ფეხბურთელებს შორის პირველი შეხვედრა 6 თებერვალს შვეიცარიასთან დანიშნული ამხანაგური მატჩის წინ უნდა შედგეს. როგორც იცით, ხსენებული მატჩი „უემბლიზე“ გაიმართება.

ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განაცხადა:

„ფაბიო ინგლისურს ძალიან დიდი მონდომებით და ინტენსიურად სწავლობს. ეს პროცესი მისი კონრტრაქტის ამოქმედების შემდეგაც ასევე ინტენსიურად გაგრძელდება. ის ყოველდღიურად, სულ მცირე ორ საათს იმეცადინებს. მას აშკარად არ სურს, ფეხბურთელებთან თარჯიმნის მეშვეობით ჰქონდეს ურთიერთობა“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კაპელო პრემიერლიგის ყველა კლუბში მისვლასა და მათი მწვრთნელების გაცნობას აპირებს, ხოლო ამ ვოიაჟში მასთან ერთად მონაწილეობას მისი ასისტენტი ფრანკო ბალდინი მიიღებს.

ინგლისური პრესისთვის დანამდვილებით გახდა ცნობილი, რომ საახალწლო პერიოდში, ეგრეთწოდებულ „ბოქსინგ დეიზ“ თამაშებზე კაპელო დაკვირვებით სწავლობდა ინგლისელი ფეხბურთელების შესაძლებლობებს.

ამ კვირაში იტალიელი მწვრთნელი კარლინგის თასის ორივე ნახევარფინალზე აპირებდა დასწრებას. მოგეხსენებათ, წუხელ შედგა „ჩელსისა“ და „ევერტონის“ დაპირისპირება, დღეს კი ურთიერთობა „არსენალმა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ უნდა გაარკვიონ.

როგორც კაპელოს გეგმების მცოდნე ხალხი ამბობს, „რეალის“ ყოფილი თავკაცი პრემიერლიგაში მოთამაშე ინგლისელი ფეხბურთელების პირადად გაცნობასაც აპირებს და დიდ ყურადღებას ახალგაზრდათა შერჩევას დაუთმობს.

უფრო დაწვრილებით, ამბობენ, რომ კაპელო მიკროსკოპს დააბჯენს „ასტონი ვილას“ მოთამაშეს გაბრიელ აგბონლაორს, „პორტსმუთის“ გლენ ჯონსონს, „მანჩესტერ სიტის“ მაიკლ ჯონსონს და ევერტონელ ლიონ ოსმანს.

ფაბიო კაპელოს გეგმაში შედის შეხვედრა ინგლისის 21 წლემდელთა ნაკრების თავკაცთან, სტიუარტ პირსთან, რათა მათმა თანამშრომლობამ მთავარი გუნდისთვის რაც შეიძლება ეფექტური შედეგი გამოიღოს.

მართალია, ინგლისელთა ახალმა შეფმა კარგად იცის, რომ ამ ქვეყნის რამდენიმე ვარსკვლავი 2010 წლისთვის „გადაბერებული“ იქნება, 6 თებერვლისთვის ის, სავარაუდოდ, შემადგენლობის რადიკალურ ცვლილებებს არ მიმართავს. ამას რომ ამბობენ, უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, 32 წლის დევიდ ბექემს გულისხმობენ, რომელიც, მოგეხსენებათ, ამერიკაში თამაშობს, „ლოს ანჯელეს გალაქსის“ ფეხბურთელია, თუმცა ამ ზამთრის დღეებში, ფორმის შესანარჩუნებლად ლონდონის „არსენალთან“ ერთად ვარჯიშობს.

დიახ, ფაქტობრივად ოთხი თვის უთამაშებელმა ბექემმა შესაძლოა, შვეიცარიასთან თამაშის წინ საჭირო პრაქტიკა „არსენალში“ ვარჯიშითაც ვერ მიიღოს, მაგრამ მას ნაკრების შემადგენლობაში 99 თამაში აქვს ჩატარებული და, როგორც ამბობენ, კაპელო მე-100 თამაშს ნამდვილად არ დააყვედრის.

მაგრამ, რა მოხდება ამის შემდეგ? ეს კაცმა არ იცის, თუმცა ერთი ფაქტია: დევიდ ბექემს ნაკრებში ადგილი გარანტირებული ნამდვილად არ ექნება.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ინგლისური ვოიაჟის დროს კაპელოს მისი მთავარი ასისტენტი ბალდინი მუდამ თან ახლდება, მაგრამ დანარჩენი სამი, იტალო გალბიატი, ფიზმომზადების მწვრთნელი მასიმო ნერი და მეკარეთა მასწავლებელი ფრანკო ტანკრედი, ბუნებრივია, მუდმივად ინგლისში ვერ იცხოვრებენ.

ასისტენტების გარდა კაპელოს ეყოლება სკაუტების ანუ სელექციონერთა ჯგუფიც, თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, ინგლისელ მწვრთნელთაგან ვინ იქნება მისი შტაბის წევრი.

და კიდევ, რამდენადაც ცნობილია, არიან პრემიერლიგაში მოთამაშე არაინგლისელი ფეხბურთელები, რომელთაც თავიანთი ქვეყნის ნაკრებებში არ ჰქვთ ნათამაშევი და „გაინგლისელების“ სურვილს გამოთქვამენ. ასეთია, მაგალითად, „არსენალის“ ესპანელი გოლკიპერი მანუელ ალმუნია...



**პაპუნა ძიდია**

# წადი, შორს წადი...



„**ტოტენჰემ** ჰოთსპურის“ მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა თავის მოთამაშეს, იმავდროულად ინგლისის ნაკრების წევრს ჯერმან დეფოს გზა დაულოცა, სადაც გინდა წადიო.

„მწვრთნელმა თავის კაბინეტში დამიბარა და მითხრა, რომ შემიძლია წავიდე — უამბო დეფომ გაზეთ „სანის“ ჟურნალისტს და დასძინა — მსურს დავამტკიცო, რომ ის შეცდა. მე გასაშვები კაცი არ ვარ და წასვლაც არ მსურს“.

როგორც დეფო ყვება, რამოსის ნათქვამი მას თავიდან ხუმრობა ეგონა. მწვრთნელმა თავისთან რომ დაიბარა, ფეხბურთელი დარწმუნებული იყო, რომ საუბარი ჯერ იმას შეეხებოდა თუ რატომ არ ათამაშეს ბოლო მატჩში „რედინგთან“, შემდეგ კი მოისმენდა, რომ ქარლინგის თასის ნახევარფინალში, „არსენალის“ წინააღმდეგ ძირითადში უპირებენ გამწესებას.

„ამის ნაცვლად მითხრეს, რომ შემიძლია გუნდიდან წავიდე, არადა, აქაურობა ძალიან მიყვრს და არსად წასვლას არ ვფიქრობ. ჩემი ოცნება „ტოტენჰემთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებაა და ვიცი, რომ კლუბის ხელმძღვანელთა შორისაც ბევრს ჩემი მათ გუნდში ყოფნა სურს, მაგრამ თუ მწვრთნელი აღარ მათამაშებს, ახალ კონტრაქტს ვინ და რატომ გამიფორმებს?“

25 წლის ჯერმან დეფომ თავის ბოლო 7 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა და ამ მონაცემით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს კარგ ფორმაშიც იყო, მაგრამ ვაგლახ, ახალ სეზონში პრემიერლიგის მხოლოდ ორ შეხვედრაში იყო სასტარტო შემადგენლობის წევრი.

ჯერმან დეფოს ახლანდელი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე 18 თვეა დარჩენილი.

ცნობისათვის: ჯერმან დეფო „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ოთხი წლის წინ 7 მილიონ გირვანქად „ვესტ ჰემ იუნაიტედისგან“ იყიდა და როგორც ამბობენ, მწვრთნელისგან განსხვავებით კლუბის თავმჯდომარეს დენიელ ლივის მისი გაშვება არ სურს. ისე, დეფო რამოსის წინამორბედის, ჰოლანდიელი მარტინ იოლის ხელშიც ვერ ხვდებოდა ძირითადში.

**პაპუნა ძიდია**

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### XX ტური
29 დეკემბერი

ჩელსი 2:1 ნიუკასლი
ბირმინგემი 1:1 ფულემი
უიგანი 1:2 ასტონ ვილა
ვესტ ჰემი 2:1 მანჩესტერი
ტოტენჰემი 6:4 რედინგი
სანდერლენდი 3:1 ბოლტონი
პორტსმუთი 0:1 მიდლსბრო
ევერტონი 1:4 არსენალი

30 დეკემბერი

დერბი 1:2 ბლექბერნი
სიტი 0:0 ლივერპული

### XXI ტური
1 იანვარი

ფულემი 1:2 ჩელსი
არსენალი 2:0 ვესტ ჰემი
რედინგი 0:2 პორტსმუთი
მანჩესტერი 1:0 ბირმინგემი
მიდლსბრო 0:2 ევერტონი
ასტონ ვილა 2:1 ტოტენჰემი

2 იანვარი

ნიუკასლი 0:2 სიტი
ბოლტონი 1:0 დერბი
ბლექბერნი 1:0 სანდერლენდი
ლივერპული 1:1 უიგანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 21 | 15 | 5 | 1 | 42:16 | 50 |
| მანჩესტერი | 21 | 15 | 3 | 3 | 38:11 | 48 |
| ჩელსი | 21 | 13 | 5 | 3 | 33:16 | 44 |
| სიტი | 21 | 11 | 6 | 4 | 29:22 | 39 |
| ლივერპული | 20 | 10 | 8 | 2 | 34:13 | 38 |
| ევერტონი | 21 | 11 | 3 | 7 | 37:22 | 36 |
| ასტონ ვილა | 21 | 10 | 6 | 5 | 37:27 | 36 |
| პორტსმუთი | 21 | 9 | 7 | 5 | 31:20 | 34 |
| ბლექბერნი | 21 | 9 | 6 | 6 | 28:28 | 33 |
| ვესტ ჰემი | 20 | 8 | 5 | 7 | 25:19 | 29 |
| ნიუკასლი | 21 | 7 | 5 | 9 | 27:33 | 26 |
| ტოტენჰემი | 21 | 6 | 6 | 9 | 42:38 | 24 |
| რედინგი | 21 | 6 | 4 | 11 | 29:44 | 22 |
| ბოლტონი | 21 | 5 | 5 | 11 | 23:32 | 20 |
| მიდლსბრო | 21 | 5 | 5 | 11 | 18:35 | 20 |
| ბირმინგემი | 21 | 5 | 4 | 12 | 22:32 | 19 |
| უიგანი | 21 | 4 | 5 | 12 | 21:37 | 17 |
| სანდერლენდი | 21 | 4 | 5 | 12 | 20:40 | 17 |
| ფულემი | 21 | 2 | 9 | 10 | 22:37 | 15 |
| დერბი | 21 | 1 | 4 | 16 | 10:46 | 7 |

### ჩემპიონატი. XXV ტური
29 დეკემბერი

შეფილდი 0:1 კრ. პალასი
ლესტერი 1:1 ჩარლტონი
პრესტონი 1:2 კარდიფი
ნორვიჩი 1:1 ვულვზი
ბარნლი 0:1 ბრისტოლი
პლიმუთი 2:2 სტოკი
კოლჩესტერი 0:2 ბლექპული
ბარნსლი 2:2 საუთჰემპტონი
ვესტ ბრომვიჩი 5:0 სკანთორპი
უოტფორდი 2:4 ქუინზ პარკი
ქოვენთრი 2:1 იფსვიჩი

30 დეკემბერი

ჰალი 1:0 უენსდი

### XXVI ტური
1 იანვარი

კარდიფი 1:0 პლიმუთი
ბრისტოლი 2:1 ქოვენთრი
ჩარლტონი 1:2 კოლჩესტერი
იფსვიჩი 2:0 ვესტ ბრომვიჩი
ბლექპული 3:0 ბარნლი
საუთჰემპტონი 0:3 უოტფორდი
სკანთორპი 2:2 ბარნსლი
ვულვზი 0:0 შეფილდი
უენსდი 2:1 პრესტონი
კრ. პალასი 1:1 ნორვიჩი
ქუინზ პარკი 3:1 ლესტერი
სტოკი 1:1 ჰალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 26 | 14 | 5 | 7 | 56:31 | 47 |
| უოტფორდი | 26 | 14 | 5 | 7 | 44:34 | 47 |
| ბრისტოლი | 26 | 13 | 8 | 5 | 34:31 | 47 |
| სტოკი | 26 | 11 | 10 | 5 | 42:33 | 43 |
| ჩარლტონი | 26 | 11 | 7 | 8 | 36:31 | 40 |
| იფსვიჩი | 26 | 11 | 6 | 9 | 43:35 | 39 |
| პლიმუთი | 26 | 10 | 8 | 8 | 35:29 | 38 |
| კრ. პალასი | 26 | 9 | 11 | 6 | 31:27 | 38 |
| ჰალი | 26 | 10 | 8 | 8 | 32:29 | 38 |
| ვულვზი | 26 | 9 | 10 | 7 | 24:23 | 37 |
| კარდიფი | 26 | 9 | 9 | 8 | 33:32 | 36 |
| ბარნლი | 26 | 8 | 10 | 8 | 33:35 | 34 |
| ბარნსლი | 26 | 8 | 10 | 8 | 33:36 | 34 |
| ბლექპული | 26 | 8 | 9 | 9 | 34:31 | 33 |
| საუთჰემპტონი | 26 | 9 | 6 | 11 | 35:44 | 33 |
| ქოვენთრი | 25 | 9 | 5 | 11 | 29:40 | 32 |
| შეფილდი | 26 | 8 | 7 | 11 | 27:30 | 31 |
| ქუინზ პარკი | 26 | 7 | 9 | 10 | 30:38 | 30 |
| უენსდი | 25 | 8 | 5 | 12 | 30:33 | 29 |
| ნორვიჩი | 26 | 7 | 7 | 12 | 24:34 | 28 |
| ლესტერი | 26 | 5 | 12 | 9 | 25:27 | 27 |
| სკანთორპი | 26 | 6 | 9 | 11 | 28:40 | 27 |
| კოლჩესტერი | 26 | 5 | 10 | 11 | 38:45 | 25 |
| პრესტონი | 26 | 6 | 6 | 14 | 25:33 | 24 |

### I დივიზიონი. XXIII ტური
29 დეკემბერი

მილუოლი — ქრიუ 2:0, ჰადერსფილდი — ნორთჰემპტონი 1:2, ჰართლპული — ლეიტონი 1:1, ჯილინგემი — ნოტინგემი 3:0, დონკასტერი — საუთენდი 3:1, იოვილი — ბრაიტონი 2:1, როვერსი — კარლაილი 3:0, ტრანმერი — ჩელტენემი 1:0, ბორნმუთი — სუინდონი 2:2, სუონსი — ლიდსი 3:2, პორტ ვეილი — ლუტონი 1:2, ოლდემი — უოლსოლი 0:2

### XXIV ტური. 1 იანვარი

საუთენდი — როვერსი 0:1, სუინდონი — სუონსი 1:1, კარლაილი — ჰართლპული 4:2, ლეიტონი — ჯილინგემი 0:0, უოლსოლი — დონკასტერი 1:1, ლუტონი — იოვილი 1:0, ქრიუ — ტრანმერი 4:3, ბრაიტონი — ბორნმუთი 3:2, ლიდსი — ოლდემი 1:3, ნორთჰემპტონი — მილუოლი 1:1, ნოტინგემი — ჰადერსფილდი 2:1

2 იანვარი

ჩელტენემი — პორტ ვეილი 1:0

### XXV ტური. 5 იანვარი

ლიდსი — ნორთჰემპტონი 3:0, კარლაილი — პორტ ვეილი 3:2. ბრაიტონი — ჩელტენემი, მილუოლი — ნოტინგემი და ჰართლპული — საუთენდი გადაიდო

### II დივიზიონი. XXIII ტური
29 დეკემბერი

გრიმსბი — ლინკოლნი 1:0, ბერი — დაგენემი 0:2, ბრენტფორდი— ჩესტერი 3:0, რექსჰემი — სტოქპორტი 0:1, ბრედფორდი — ჰერეფორდი 1:3, შრიუსბერი — უიკომბი 0:1, ბარნეტი — ჩესტერფილდი 0:2, ნოთსი — როტერჰემი 0:1, მორკემბი — პიტერბრო 3:2, მენსფილდი — აკრინგტონი 1:2, მაკლსფილდი — როჩდეილი 2:2, დარლინგტონი — მილტონი 0:1

### XXIV ტური. 1 იანვარი

უიკომბი — ბარნეტი 0:0, ჰერეფორდი — ნოთსი 0:0, სტოქპორტი — მორკემბი 2:1, მილტონი — მენსფილდი 1:0, როტერჰემი — მაკლსფილდი 3:0, ჩესტერი — გრიმსბი 0:2, როჩდეილი — დარლინგტონი 3:1, ლინკოლნი — ბერი 1:1, დაგენემი — ბრენტფორდი 1:2, ჩესტერფილდი — რექსჰემი 2:1, აკრინგტონი — ბრედფორდი 0:2, პიტერბრო — შრიუსბერი 2:1

### XXV ტური. 5 იანვარი

ნოთსი — სტოქპორტი 1:2, მაკლსფილდი — მორკემბი 1:2, ჩესტერფილდი — გრიმსბი 1:2, აკრინგტონი — ჩესტერი 3:3, შრიუსბერი — ბრენტფორდი 0:1, როტერჰემი — მილტონი 0:1, როჩდეილი — ლინკოლნი 0:2. ბერი — ბრედფორდი, ბარნეტი — დარლინგტონი, რექსჰემი — პიტერბრო და დაგენემი — ჰერეფორდი გადაიდო

### კონფერენსლიგა. XXV ტური
29 დეკემბერი

სტაფორდი — ებსფლიტი 0:1, ფორესტ გრინი — დროილსდენი 3:2, ფარსლი — ქროული 1:5, იორკი — ვეიმუთი 2:0, კემბრიჯი — ბარტონი 0:0, უოკინგი — ტორკი 0:1, გრეისი — ალდერშოტი 2:1, ალტრინჩემი — სტივენეიჯი 1:5, რაშდენი — ნორთვიჩი 1:0, ოქსფორდი — კიდერმინსტერი 0:0, ექსეტერი — ჰისტონი 2:1, სელისბერი — ჰალიფაქსი 0:1

### XXVI ტური. 1 იანვარი

ტორკი — ექსეტერი 1:0, ჰისტონი — კემბრიჯი 1:0, ალდერშოტი — უოკინგი 2:1, ნორთვიჩი — ალტრინჩემი 1:2, ბარტონი — სტაფორდი 2:1, ვეიმუთი — სელისბერი 0:3, სტივენეიჯი — რაშდენი 2:1, ქროული — ოქსფორდი 2:0, ებსფლიტი — გრეისი 4:1, კიდერმინსტერი — ფორესტ გრინი 1:0, ჰალიფაქსი — ფარსლი 2:0, დროილსდენი — იორკი 3:4

### XXVII ტური. 5 იანვარი

იორკი — კიდერმინსტერი 2:2, ფარსლი — ჰისტონი 1:3, უოკინგი — ჰალიფაქსი 1:0, ფორესტ გრინი — გრეისი 1:2, დროილსდენი — ქროული 1:2, ებსფლიტი — ვეიმუთი 4:1, ოქსფორდი — ალტრინჩემი 4:0, სტაფორდი — სტივენეიჯი 1:2, ნორთვიჩი — ალდერშოტი 1:2, რაშდენი — სელისბერი 0:0, კემბრიჯი — ექსეტერი გადაიდო

7 იანვარი

ტორკი — ბარტონი 1:2

### ასოციაციის თასი
5 იანვარი

ჩეიზთაუნი — კარდიფი 1:3, ვულვზი — კემბრიჯი 2:1, უოლსოლი — მილუოლი 0:0, კოლჩესტერი — პიტერბრო 1:3, საუთჰემპტონი — ლესტერი 2:0, ჩელსი — ქუინზ პარკი 1:0, პრესტონი — სკანთორპი 1:0, ჩარლტონი — ვესტ ბრომვიჩი 1:1, პლიმუთი — ჰალი 3:2, ნორვიჩი — ბერი 1:1, ვესტ ჰემი — სიტი 0:0, ბრისტოლი — მიდლსბრო 1:2, იფსვიჩი — პორტსმუთი 0:1, უოტფორდი — კრ. პალასი 2:0, ბრაიტონი — მენსფილდი 1:2, ჰადერსფილდი — ბირმინგემი 2:1, ტრანმერი — ჰერეფორდი 2:2, ბოლტონი — შეფილდი 0:1, ტოტენჰემი — რედინგი 2:2, სუინდონი — ბარნეტი 1:1, ბლექბერნი — ქოვენთრი 1:4, სანდერლენდი — უიგანი 0:3, სუონსი — ჰევანტი 1:1, ბარნსლი — ბლექპული 2:1, საუთენდი — დაგენემი 5:2, ევერტონი — ოლდემი 0:1, ასტონ ვილა — მანჩესტერი 0:2

6 იანვარი

ბარნლი — არსენალი 0:2, ფულემი— როვერსი 2:2, დერბი — როვერსი 2:2, ლუტონი — ლივერპული 1:1, სტოკი — ნიუკასლი 0:0



„ბლექბერნის“ მეკარემ ბრედ ფრიდელმა პენალტი აიღო და „სანდერლენდი“ წაგებული დატოვა



ტაიტუს ბრემბლის გოლით „უიგანმა“ ლივერპულიდან ქულა წაიღო

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XVIII ტური. 5 იანვარი

მალიორკა 0:2 ბარსელონა
ესპანიოლი 3:0 ვილიარეალი

6 იანვარი

დეპორტივო 0:3 ატლეტიკო
უელვა 1:1 ალმერია
ხეტაფე 0:3 ვალიადოლიდი
რასინგი 1:0 ბილბაო
მურსია 2:0 ოსასუნა
ვალენსია 0:0 ლევანტე
რეალი 2:0 სარაგოსა
სევილია 3:0 ბეტისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 18 | 14 | 2 | 2 | 39:14 | 44 |
| ბარსელონა | 18 | 11 | 4 | 3 | 34:13 | 37 |
| ესპანიოლი | 18 | 10 | 6 | 2 | 29:19 | 36 |
| ატლეტიკო | 18 | 10 | 4 | 4 | 34:19 | 34 |
| ვილიარეალი | 18 | 10 | 2 | 6 | 30:27 | 32 |
| რასინგი | 18 | 8 | 5 | 5 | 18:19 | 29 |
| ვალენსია | 18 | 8 | 3 | 7 | 22:28 | 27 |
| სევილია | 18 | 8 | 2 | 8 | 35:23 | 26 |
| სარაგოსა | 18 | 5 | 6 | 7 | 27:30 | 21 |
| მალიორკა | 18 | 5 | 6 | 7 | 26:29 | 21 |
| ვალიადოლიდი | 18 | 5 | 6 | 7 | 24:27 | 21 |
| ხეტაფე | 18 | 6 | 3 | 9 | 19:24 | 21 |
| უელვა | 18 | 5 | 6 | 7 | 14:21 | 21 |
| ოსასუნა | 17 | 5 | 5 | 7 | 20:21 | 20 |
| ალმერია | 18 | 5 | 5 | 8 | 15:21 | 20 |
| ბილბაო | 18 | 4 | 7 | 7 | 16:19 | 19 |
| მურსია | 17 | 4 | 7 | 6 | 14:20 | 19 |
| ბეტისი | 18 | 4 | 6 | 8 | 17:26 | 18 |
| დეპორტივო | 18 | 4 | 5 | 9 | 16:27 | 17 |
| ლევანტე | 18 | 2 | 2 | 14 | 11:33 | 8 |

### სეგუნდადივიზიონი
### XIX ტური. 5 იანვარი

კასტელიონი 0:0 ნუმანსია
ეიბარი 1:0 ალბასეტე
კადისი 0:1 მალაგა

6 იანვარი

კორდობა 2:2 ხიხონი
პოლი ეხიდო 0:0 ხერესი
ერკულესი 1:2 სევილია B
გრანადა 74 1:0 ხიმნასტიკი
სალამანკა 3:2 სოსიედადი
ალავესი 1:0 ფეროლი
ტენერიფე 3:2 სელტა
ლას პალმასი 1:0 ელჩე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 19 | 12 | 3 | 4 | 31:17 | 39 |
| ნუმანსია | 19 | 11 | 5 | 3 | 28:15 | 38 |
| სპორტინგი | 19 | 9 | 5 | 5 | 29:19 | 32 |
| სევილია B | 19 | 8 | 7 | 4 | 20:18 | 31 |
| ელჩე | 19 | 8 | 5 | 6 | 23:19 | 29 |
| სელტა | 19 | 7 | 7 | 5 | 26:22 | 28 |
| სოსიედადი | 19 | 7 | 7 | 5 | 20:18 | 28 |
| ტენერიფე | 19 | 7 | 7 | 5 | 25:24 | 28 |
| გრანადა | 19 | 8 | 4 | 7 | 23:23 | 28 |
| ეიბარი | 19 | 8 | 4 | 7 | 21:21 | 28 |
| ერკულესი | 19 | 6 | 8 | 5 | 26:21 | 26 |
| სალამანკა | 19 | 7 | 5 | 7 | 27:24 | 26 |
| კადისი | 19 | 7 | 4 | 8 | 17:18 | 25 |
| ალავესი | 19 | 6 | 6 | 7 | 21:22 | 24 |
| კორდობა | 19 | 4 | 11 | 4 | 23:25 | 23 |
| კასტელიონი | 19 | 5 | 7 | 7 | 17:17 | 22 |
| ხიმნასტიკი | 19 | 5 | 5 | 9 | 19:23 | 20 |
| პოლი ეხიდო | 19 | 5 | 5 | 9 | 17:28 | 20 |
| ალბასეტე | 19 | 4 | 5 | 10 | 12:21 | 17 |
| ფეროლი | 19 | 4 | 5 | 10 | 19:29 | 17 |
| ლას პალმასი | 19 | 4 | 5 | 10 | 17:29 | 17 |
| ხერესი | 19 | 2 | 10 | 7 | 18:26 | 16 |

### ესპანეთის სამეფო თასი
IV წრე. 2 იანვარი

სევილია 4:3 დენია (1:1)
ბარსელონა 2:2 ალკოიანო (3:0)
ბილბაო 2:0 ერკულესი (2:2)
მურსია 2:3 ვალიადოლიდი (1:1)
უელვა 1:1 ხერესი (1:0)
რასინგი 2:0 მალაგა (0:0)
ვილიარეალი 2:1 ლას პალმასი (4:2)
ხეტაფე 4:1 ბურგოსი (1:0)
გრანადა 74 1:1 ატლეტიკო (2:1)
ელჩე 3:0 ბეტისი (1:1)
მალიორკა 4:0 ოსასუნა (0:2)
რეალი 2:1 ალიკანტე (1:1)
დეპორტივო 1:2 ესპანიოლი (1:1)
ვალენსია 3:0 ირუნი (2:1)

3 იანვარი

სარაგოსა 3:1 პონტევედრა (0:1)
ალმერია 1:1 ლევანტე (1:2)

## საფრანგეთი

თასი. 5 იანვარი

ოსერი 3:2დ.დ.(2:2) სტ. ეტიენი
ეპინალი 0:2 პსჟ
ლორიანი 2:1 ვალანსიენი
ნანსი 2:1 რეიმსი
ნიცა 2:1დ.დ.(1:1) ლე ავრი
კევილი 1:3 ბორდო
რუანი 0:0დ.დ.(4:5პ) სტრასბური
სედანი 3:2 კაენი

6 იანვარი

ბრესტი 1:3დ.დ.(1:1) მონაკო
კრეტეი 0:4 ლიონი
ავიონი 0:3 ლილი
მარტიგი 0:3 რენი
მოზელი 0:2 სოშო
ტულუზი 1:2 პარიზი

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XVIII ტური

29 დეკემბერი

სპარტა 1:3 გრონინგენი

30 დეკემბერი

ვენლო 2:2 აიაქსი
ვიტესი 2:2 უტრეხტი
ექსელსიორი 1:2 როდა
ტილბურგი 3:0 ნაიმეგენი
პსვ 2:0 ბრედა
ჰერენვენი 1:1 ფეიენოორდი
ტვენტე 2:0 გრააფსხაპი
ალკმაარი 1:0 ჰერაკლესი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 17 | 11 | 3 | 3 | 39:14 | 36 |
| ფეიენოორდი | 17 | 11 | 3 | 3 | 34:13 | 36 |
| აიაქსი | 17 | 9 | 6 | 2 | 46:25 | 33 |
| გრონინგენი | 18 | 10 | 3 | 5 | 28:28 | 33 |
| ტვენტე | 18 | 8 | 8 | 2 | 28:14 | 32 |
| როდა | 18 | 9 | 5 | 4 | 35:27 | 32 |
| ჰერენვენი | 18 | 9 | 3 | 6 | 42:25 | 30 |
| უტრეხტი | 18 | 8 | 4 | 6 | 39:31 | 28 |
| ალკმაარი | 16 | 7 | 4 | 5 | 29:18 | 25 |
| ვიტესი | 18 | 7 | 4 | 7 | 23:24 | 25 |
| ბრედა | 17 | 7 | 4 | 6 | 22:25 | 25 |
| გრააფსხაპი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:26 | 22 |
| ვენლო | 18 | 4 | 5 | 9 | 23:38 | 17 |
| ნაიმეგენი | 18 | 3 | 4 | 11 | 15:31 | 13 |
| ჰერაკლესი | 18 | 3 | 4 | 11 | 13:41 | 13 |
| ტილბურგი | 18 | 3 | 3 | 12 | 18:27 | 12 |
| სპარტა | 17 | 2 | 6 | 9 | 22:42 | 12 |
| ექსელსიორი | 18 | 3 | 3 | 12 | 20:48 | 12 |

## თურქეთი

თურქეთის თასი

4 იანვარი

ტრაბზონსპორი 5:0 ჩირიკალესპორი

5 იანვარი

ანკარა 2:0 ანკარაგიუჯუ
დიარბაქირი 0:4 ბეშიქთაში
გაზიანტეპი 1:1 შანლიურფა
ბურსა 2:2 გალათასარაი

6 იანვარი

გენჩლერბირლიგი 3:0 მანისა
ქაისერი 0:0 ფენერბაჩე
დენიზლი 3:1 სარიერი

## იაპონია

იმპერატორის თასის ფინალი. 1 იანვარი

ჰიროშიმა 0:2 კაშიმა

## ბელგია

II დივიზიონი. XX ტური

29 დეკემბერი

ტუბიცე — ტიენენი 1:0, ეუპენი — კორტრაიკი 0:1, დაინცე — მარშიენი 1:0, გეელი — ვაასლანდი 1:3, ანტვერპენი — ტურნე 0:1

30 დეკემბერი

ვიგორი — ლიერსი 2:2

XXI ტური. 5 იანვარი

ლიერსი — ანტვერპენი 1:2, ვაასლანდი — ვიგორი 1:1, ნამურ — ჰევერლე 0:5, ოსტენდე — დაინცე 2:1, ტურნე — სტ. ჟილუაზი 3:1

6 იანვარი

კორტრაიკი — ბევერენი 3:0

## პორტუგალია

სუპერლიგა. XV ტური

4 იანვარი

აკადემიკა 3:3 ბრაგა

5 იანვარი

სეტუბალი 1:1 ბენფიკა
ბოავიშტა 1:1 სპორტინგი

6 იანვარი

ფერეირა 2:1 ლეირია
მარიტიმუ 2:1 ლეიშოეში
ამადორა 4:1 გიმარაეში
პორტუ 1:0 ნავალი

7 იანვარი

ბელენენსეში 1:1 ნასიონალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 15 | 12 | 2 | 1 | 24:5 | 38 |
| ბენფიკა | 15 | 8 | 5 | 2 | 26:9 | 29 |
| სპორტინგი | 15 | 7 | 6 | 2 | 23:13 | 27 |
| გიმარაეში | 15 | 7 | 4 | 4 | 18:18 | 25 |
| სეტუბალი | 15 | 5 | 9 | 1 | 22:15 | 24 |
| მარიტიმუ | 15 | 7 | 2 | 6 | 19:13 | 23 |
| ბრაგა | 15 | 6 | 5 | 4 | 18:15 | 23 |
| ბელენენსეში | 15 | 4 | 7 | 4 | 13:14 | 19 |
| ნასიონალი | 15 | 4 | 5 | 6 | 11:13 | 17 |
| ამადორა | 15 | 3 | 7 | 5 | 17:18 | 16 |
| ლეიშოეში | 15 | 2 | 9 | 4 | 15:18 | 15 |
| აკადემიკა | 15 | 3 | 6 | 6 | 15:23 | 15 |
| ნავალი | 15 | 4 | 3 | 8 | 10:23 | 15 |
| ბოავიშტა | 15 | 2 | 8 | 5 | 13:23 | 14 |
| ფერეირა | 15 | 3 | 3 | 9 | 12:22 | 12 |
| ლეირია | 15 | 0 | 5 | 10 | 9:23 | 5 |

II დივიზიონი. XV ტური

5 იანვარი

ბეირა მარი — ჟილ ვისენტე 0:0

6 იანვარი

ოლიანენსე — ვიზელა 1:0, ტროფენსე — პორტიმონენსე 1:0, პენაფიელი — ავეში 2:2, ფრეამუნდე — სანტა კლარა 3:1, ეშტორილი — ფატიმა 2:2, რიუ ავე — ფეირენსე 0:1, ვარზიმი — გონდომარი 2:3

## საბერძნეთი

სუპერლიგა. XIV ტური

29 დეკემბერი

ერგოტელისი 0:0 ლარისა
ოლიმპიაკოსი 2:1 ქსანთი

30 დეკემბერი

ლევადიაკოსი 0:0 ასტერასი
ატრომიტოსი 1:0 ვერია
კალამარია 1:1 ირაკლისი
პანიონიოსი 1:3 ოფი
აეკ 2:0 პაოკ
არისი 0:1 პანათინაიკოსი

XV ტური

5 იანვარი

ირაკლისი 1:2 ოლიმპიაკოსი

6 იანვარი

ქსანთი 1:0 ერგოტელისი
ვერია 3:1 ლევადიაკოსი
პანათინაიკოსი 1:0 კალამარია
ოფი 0:1 არისი
ატრომიტოსი 0:2 პანიონიოსი
პაოკ 1:0 ლარისა
ასტერასი 2:1 აეკ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 15 | 10 | 4 | 1 | 30:12 | 34 |
| აეკ | 15 | 11 | 0 | 4 | 30:8 | 33 |
| პანათინაიკოსი | 15 | 10 | 3 | 2 | 23:6 | 33 |
| ასტერასი | 15 | 8 | 4 | 3 | 16:7 | 28 |
| არისი | 15 | 7 | 4 | 4 | 13:8 | 25 |
| პაოკ | 15 | 7 | 2 | 6 | 19:16 | 23 |
| პანიონიოსი | 15 | 6 | 4 | 5 | 19:20 | 22 |
| ატრომიტოსი | 15 | 6 | 3 | 6 | 12:14 | 21 |
| ქსანთი | 15 | 5 | 3 | 7 | 16:16 | 18 |
| ლარისა | 15 | 2 | 9 | 4 | 11:15 | 15 |
| ირაკლისი | 15 | 3 | 6 | 6 | 12:17 | 15 |
| ვერია | 15 | 3 | 5 | 7 | 11:17 | 14 |
| ოფი | 15 | 4 | 2 | 9 | 19:29 | 14 |
| კალამარია | 15 | 3 | 4 | 8 | 14:28 | 13 |
| ლევადიაკოსი | 15 | 3 | 3 | 9 | 11:28 | 12 |
| ერგოტელისი | 15 | 1 | 6 | 8 | 9:24 | 9 |

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XX ტური

29 დეკემბერი

ჰიბერნიანი 1:2 რეინჯერსი
სტ. მირენი 0:1 აბერდინი
მოზერუელი 5:3 დანდი იუნ
ინვერნესი 3:1 კილმარნოკი
ფალკირკი 2:1 ჰართსი
სელტიკი 3:0 გრეტნა

XXI ტური. 2 იანვარი

აბერდინი 1:0 ინვერნესი
კილმარნოკი 0:1 ფალკირკი
დანდი იუნ 4:1 ჰართსი
სელტიკი — რეინჯერსი
ჰიბერნიანი — მოზერუელი
გრეტნა — სტ. მირენი

გადაიდო

XXII ტური. 5 იანვარი

რეინჯერსი 2:0 დანდ იუნ
ინვერნესი 3:0 გრეტნა
ჰართსი 1:1 კილმარნოკი
ფალკირკი 0:0 აბერდინ
სტ. მირენი 2:1 ჰიბერნიანი

6 იანვარი

მოზერუელი — სელტიკი

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 19 | 14 | 2 | 3 | 45:16 | 44 |
| სელტიკი | 20 | 13 | 4 | 3 | 51:17 | 43 |
| მოზერუელი | 20 | 11 | 2 | 7 | 30:25 | 35 |
| აბერდინი | 22 | 9 | 6 | 7 | 28:29 | 33 |
| დანდი იუნ. | 22 | 10 | 2 | 10 | 32:30 | 32 |
| ფოლკირკი | 22 | 9 | 5 | 8 | 34:35 | 32 |
| ინვერნესი | 22 | 10 | 1 | 11 | 31:35 | 31 |
| ჰიბერნიანი | 21 | 7 | 7 | 7 | 29:28 | 28 |
| კილმარნოკი | 22 | 5 | 7 | 10 | 23:32 | 22 |
| სენტ მირენი | 20 | 6 | 4 | 10 | 13:31 | 22 |
| ჰართსი | 22 | 5 | 6 | 11 | 32:40 | 21 |
| გრეტნა | 20 | 2 | 4 | 14 | 16:46 | 10 |

I დივიზიონი. XIX ტური

29 დეკემბერი

ქუინი — ლივინგსტონი 1:0, მორტონი — ჰამილტონი 1:3, დანფერმლაინი — სტერლინგი 2:1, კლაიდი — სტ. ჯონსტონი 1:3, დანდი — პარტიკი 1:0

XX ტური. 2 იანვარი

ჰამილტონი — ქუინი 1:0, სტერლინგი — მორტონი 1:2, ლივინგსტონი — დანფერმლაინი 0:2, სტ. ჯონსტონი — დანდი 1:1, პარტიკი — კლაიდი 1:1

XXI ტური

5 იანვარი

დანდი — დანფერმლაინი 0:0, სტ. ჯონსტონი — პარტიკი 2:0, ქუინი — კლაიდი 3:1, ლივინგსტონი — მორტონი 6:1, ჰამილტონი — სტერლინგი 0:0

II დივიზიონი. XIX ტური

29 დეკემბერი

ბრეჩინი — ეირი 5:1, ბერვიკი — ეირდრი 2:4, რეითი — ალოა 3:2, ქუინზ პარკი — როსი 0:1, პიტერჰედი — კოუდენბითი 1:0

XX ტური

2 იანვარი

როსი — პიტერჰედი 5:1, კოუდენბითი — რეითი 1:4, ეირი — ბერვიკი 4:0, ალოა — ბრეჩინი 0:4, ეირდრი — ქუინზ პარკი 3:2

XXI ტური

5 იანვარი

ეირდრი — პიტერჰედი 2:0, რეითი — როსი 0:1, კოუდენბითი — ეირი 2:0, ბერვიკი — ბრეჩინი 2:2, ალოა — ქუინზ პარკი 1:2

III დივიზიონი. XVIII ტური

29 დეკემბერი

ფორფარი — დამბარტონი 3:1, ელჯინი — სტენჰაუზმური 2:0, ისტ სტერლინგი — მონტროზი 0:3, ალბიონი — ისტ ფაიფი 1:4

XIX ტური

2 იანვარი

ისტ ფაიფი — სტრანრარი 2:1, დამბარტონი — ალბიონი 2:0, სტენჰაუზმური — ისტ სტერლინგი 3:0, მონტროზი — არბროთი 5:0, ფორფარი — ელჯინი 0:1

XX ტური. 5 იანვარი

სტრანრარი — მონტროზი 0:2, ელჯინი — ისტ ფაიფი 1:2, ისტ სტერლინგი — ფორფარი 4:1, ალბიონი — სტენჰაუზმური 3:3. არბროთი — დამბარტონი გადაიდო



დიდიე დროგბა

# ოჰ, ეს აფრიკის თასი

**20 იანვარს** აფრიკაში მთავარი ტურნირი დაიწყება. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიუმპიური თამაშები შავ კონტინენტზეც დიდ პატივშია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გასამართ კონტინენტურ პირველობას საკუთრივ აფრიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სიტყვა „მნიშვნელობა“ რომ გავაძლიეროთ, რამდენიმე არგუმენტს მოვიყვანთ: ყველა იმ კლუბის მეპატრონე თუ მწვრთნელი, რომლის ღირსებასაც აფრიკული ქვეყნის ნაკრების წევრი იცავს, ყოველი წყვილი წელიწადის დასაწყისში თავბედს იწყევლის — ფიფას წესდების თანახმად, ნებისმიერი აფრიკელი ფეხბურთელი, თუკი ეს უკანასკნელი თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრია, ვალდებულია, თავისი ეროვნული ფედერაციის პირველივე დაძახებაზე ნაკრების მწვრთნელის განკარგულები გაჩნდეს.

ყოველივეს კი იმიტომ განვმარტავთ, რომ ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური ევროპის უძლიერესი კლუბებისთვისაა. შორს ნუ წავალთ და „ჩელსიზე“ ვთქვათ: ავრაამ გრანტი სხვებზე მეტად დაზარალდება. „ჩელსის“ თავკაცი თავისი გუნდის სასტარტო შემადგენლობის ერთბაშად ოთხ აფრიკელ წევრს გამოეთხოვება. ესენი არიან სალომონ კალუ, მიკაელ ესიენი, ჯონ ობი მიკელი და, რაც გრანტისთვის ყველაზე გულდასაწყვეტია, დიდიე დროგბა. ღმერთმა უწყის, რა რესურსით აპირებს „ჩელსის“ თავკაცი ამხელა ნაპრალების შევსებას, მაგრამ ფაქტია, რომ სხვა გზა არც ლონდონელებს აქვთ და არც სხვებს...

„არისტოკრატებზე“ ოდნავ მსუბუქ ზარალს ლონდონის „არსენალი“ მიიღებს — ემანუელ ებუე, კოლო ტურე. პრინციპში, „კანონირების“ ჭერი ამით არ დაინგრევა, მაგრამ ტურე მაინც დიდი ძალაა. თუმცა, ამ თემის ირგვლივ ფრანკ რაიკარდის განცდებზე საუბარი მართლაც რთულია — „ბარსელონას“ ტრავმის გამო ლეო მესიც აკლია, რონალდინიოც, მაგრამ კატალონიური გრანდი ბოლო დროს ფონს სხვა კაცის ხარჯზე გადიოდა. კამერუნელმა სამუელ ეტოომ სეზონის პირველი ნახევარი მძიმე ტრავმის გამო გააცდინა, მაგრამ დღეს კამერუნელი ფანტასტიკურ ფორმაშია და მის გარეშე „ბარსას“ ნამდვილად გაუჭირდება.

მოკლედ რომ ვთქვათ, მართალია „არსენალის“ ფრანგი დამრიგებელი არსენ ვენგერი, რომ აცხადებს — როცა აფრიკელს ყიდულობ, ისიც უნდა გაითვალისწინო, რამდენი ხნით მოგიწევს მასთან განშორება აფრიკის ეროვნებათა თასის მსვლელობისასო...

**სლავა გასპაროვი**



სამუელ ეტოო

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 63 | არსენალი-ბირმინგემი | 1.15 | 5.90 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.05 |
| 19:00 | 64 | ასტონ ვილა-რედინგი | 1.45 | 3.80 | 5.90 | 1.04 | 1.16 | 2.31 |
| 19:00 | 67 | დერბი-უიგანი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 68 | ევერტონი-სიტი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 21:15 | 69 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.20 | 5.15 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.50 |
| 19:00 | 70 | მიდლსბრო-ლივერპული | 4.90 | 3.40 | 1.60 | 2.00 | 1.20 | 1.08 |
| 19:00 | 72 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| | | 13 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 65 | ბოლტონი-ბლექბერნი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 17:30 | 71 | სანდერლენდი-პორტსმუთი | 2.70 | 3.15 | 2.35 | 1.45 | 1.25 | 1.34 |
| | | 14 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 66 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 21:20 | 109 | ჰალი-ვესტ ბრომვიჩი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 19:00 | 110 | იფსვიჩი-სტოკი | 2.10 | 3.15 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.53 |
| 19:00 | 111 | ლესტერი-ქოვენთრი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 112 | პრესტონი-უოტფორდი | 2.90 | 3.15 | 2.20 | 1.50 | 1.25 | 1.29 |
| 19:00 | 113 | შეფილდი-ქპრ | 2.05 | 3.15 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.57 |
| 19:00 | 114 | საუთჰემპტონი-სკანთორპი | 1.60 | 3.30 | 4.90 | 1.07 | 1.20 | 1.97 |
| 19:00 | 115 | ბარნსლი-ნორვიჩი | 1.95 | 3.25 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.63 |
| 19:00 | 116 | ვულვერჰემპტონი-კრ. პალასი | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 19:00 | 117 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1.45 | 3.50 | 6.40 | 1.02 | 1.18 | 2.26 |
| 19:00 | 118 | ბარნლი-პლიმუთი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 119 | კარდიფი-უენსდი | 1.75 | 3.20 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 120 | ჩარლტონი-ბლეკპული | 1.55 | 3.40 | 5.15 | 1.06 | 1.19 | 2.04 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 11 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 175 | ტრანმერი-როვერსი | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 169 | ლუტონი-სუონსი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 19:00 | 170 | ნორთჰემპტონი-ჰარტლპული | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 171 | ნოტინგემი-ლეიტონი | 1.55 | 3.40 | 5.40 | 1.06 | 1.20 | 2.08 |
| 19:00 | 172 | ოლდემი-ბრაიტონი | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 19:00 | 173 | პორტ ვეილი-მილუოლი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 19:00 | 174 | საუთენდი-იოვილი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 176 | ჩელტენემი-ბორნმუთი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 19:00 | 177 | უოლსოლი-სუინდონი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 19:00 | 179 | დონკასტერი-კარლაილი | 1.92 | 3.20 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 180 | ჰადერსფილდი-ჯილინგემი | 1.90 | 3.15 | 3.60 | 1.18 | 1.24 | 1.67 |
| | | 14 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 178 | ქრიუ-ლიდსი | 3.65 | 3.20 | 1.90 | 1.70 | 1.24 | 1.19 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 229 | გრიმსბი-რექსემი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 231 | ლინკოლნი-როტერჰემი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 232 | დონსი-ბარნეტი | 1.35 | 3.90 | 8.40 | 1.00 | 1.16 | 2.66 |
| 19:00 | 233 | მორიკომბი-დაგ ენდ რედი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 19:00 | 234 | პიტერბრო-მაკლსფილდი | 1.40 | 3.80 | 7.40 | 1.02 | 1.17 | 2.51 |
| 19:00 | 235 | უიკომბი-როჩდეილი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 236 | ბრენტფორდი-ჩესტერფილდი | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 19:00 | 237 | ჩესტერი-მენსფილდი | 1.62 | 3.30 | 5.00 | 1.08 | 1.22 | 1.98 |
| 19:00 | 238 | დარლინგტონი-ბერი | 1.50 | 3.50 | 5.90 | 1.04 | 1.19 | 2.19 |
| 19:00 | 239 | სტოკპორტი-აკრინგტონი | 1.92 | 3.20 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 240 | ბრედფორდი-ნოტსი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| | | 13 იანვარი | | | | | | |
| 18:00 | 230 | ჰერეფორდი-შრიუსბერი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 1060 | სალისბერი-ოქსფორდი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 1092 | ალოა-ბერიკი | 1.50 | 3.70 | 5.20 | 1.06 | 1.16 | 2.16 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 370 | ელგინი-ალბიონი | 2.10 | 3.50 | 2.70 | 1.31 | 1.18 | 1.52 |
| 19:00 | 371 | ფორფარი-არბროთი | 2.80 | 3.50 | 2.10 | 1.55 | 1.20 | 1.31 |
| 19:00 | 372 | მონტროუზი-ისტ ფაიფი | 2.70 | 3.50 | 2.15 | 1.52 | 1.19 | 1.33 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 384 | ემპოლი-რეჯინა | 1.90 | 2.80 | 4.30 | 1.13 | 1.31 | 1.69 |
| 23:30 | 390 | კატანია-იუვენტუსი | 4.70 | 3.00 | 1.80 | 1.83 | 1.30 | 1.12 |
| | | 13 იანვარი | | | | | | |
| 18:00 | 382 | ატალანტა-რომა | 4.30 | 2.90 | 1.90 | 1.73 | 1.31 | 1.14 |
| 18:00 | 383 | კალიარი-უდინეზე | 3.25 | 2.80 | 2.30 | 1.50 | 1.34 | 1.26 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 385 | ლაციო-ჯენოა | 1.80 | 3.00 | 4.70 | 1.12 | 1.30 | 1.83 |
| 23:30 | 386 | მილანი-ნაპოლი | 1.30 | 4.25 | 8.70 | 1.00 | 1.13 | 2.85 |
| 18:00 | 387 | პარმა-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.40 | 1.44 | 1.33 | 1.29 |
| 18:00 | 388 | სამპდორია-პალერმო | 2.30 | 2.80 | 3.25 | 1.26 | 1.34 | 1.50 |
| 18:00 | 389 | სიენა-ინტერი | 7.00 | 3.45 | 1.45 | 2.31 | 1.20 | 1.02 |
| 18:00 | 391 | ტორინო-ლივორნო | 1.80 | 2.85 | 4.90 | 1.10 | 1.31 | 1.80 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 392 | ფროზინონე-ბრეშა | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 19:00 | 393 | ლეჩე-მესინა | 1.75 | 3.00 | 4.80 | 1.10 | 1.28 | 1.84 |
| 19:00 | 394 | პიაჩენცა-ჩეზენა | 1.60 | 3.10 | 5.90 | 1.05 | 1.25 | 2.03 |
| 19:00 | 395 | რავენა-ვიჩენცა | 2.30 | 2.75 | 3.20 | 1.25 | 1.33 | 1.47 |
| 19:00 | 396 | რიმინი-ალბინოლეფე | 2.30 | 2.80 | 3.10 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| 19:00 | 397 | სპეცია-პიზა | 2.80 | 2.75 | 2.55 | 1.38 | 1.33 | 1.32 |
| 19:00 | 398 | ტრევიზო-ტრიესტინა | 2.20 | 2.75 | 3.40 | 1.22 | 1.33 | 1.52 |
| 19:00 | 399 | ასკოლი-მოდენა | 1.80 | 2.85 | 4.80 | 1.10 | 1.30 | 1.78 |
| 19:00 | 400 | აველინო-ბარი | 2.15 | 2.75 | 3.50 | 1.20 | 1.33 | 1.53 |
| 19:00 | 401 | ბოლონია-მანტოვა | 1.80 | 2.75 | 5.10 | 1.08 | 1.33 | 1.78 |
| 19:00 | 402 | კიევო-გროსეტო | 1.40 | 3.55 | 7.95 | 1.00 | 1.19 | 2.45 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 437 | ბარსელონა-მურსია | 1.12 | 6.40 | 14.00 | 1.00 | 1.03 | 4.39 |
| 23:45 | 439 | ბილბაო-სევილია | 3.00 | 3.15 | 2.20 | 1.53 | 1.26 | 1.29 |
| | | 13 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 431 | ვალიადოლიდი-უელვა | 1.90 | 3.15 | 3.75 | 1.18 | 1.26 | 1.71 |
| 20:00 | 432 | ალმერია-ესპანიოლი | 3.35 | 3.25 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 20:00 | 433 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1.50 | 3.60 | 5.90 | 1.05 | 1.19 | 2.23 |
| 23:45 | 434 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 22:00 | 435 | ლევანტე-რეალი | 8.40 | 4.40 | 1.30 | 2.88 | 1.12 | 1.00 |
| 20:00 | 436 | სარაგოსა-მალიორკა | 1.90 | 3.25 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 20:00 | 438 | ოსასუნა-რასინგი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 20:00 | 440 | ბეტისი-ხეტაფე | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 463 | ბორდო-ოსერი | 1.70 | 3.20 | 4.80 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 23:00 | 465 | მონაკო-ლორიანი | 1.95 | 2.90 | 4.00 | 1.16 | 1.31 | 1.68 |
| 23:00 | 467 | ლილი-მეცი | 1.55 | 3.30 | 6.40 | 1.05 | 1.24 | 2.17 |
| 23:00 | 468 | კაენი-ნანსი | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 23:00 | 469 | სტრასბური-ნიცა | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |
| 20:10 | 470 | ვალენსიენი-სტ.ეტიენი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 23:00 | 471 | ლე მანი-სოშო | 1.80 | 3.00 | 4.50 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 23:00 | 472 | ლიონი-ტულუზი | 1.35 | 3.90 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.67 |
| | | 13 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 464 | პსჟ-ლანსი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 23:45 | 466 | რენი-მარსელი | 2.50 | 2.80 | 2.80 | 1.32 | 1.32 | 1.39 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 11 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 547 | ფერეირა-მარიტიმუ | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| | | 12 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 546 | პორტუ-ბრაგა | 1.35 | 3.80 | 8.40 | 1.00 | 1.16 | 2.61 |
| 23:00 | 551 | ბენფიკა-ლეიშოეში | 1.20 | 5.40 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.50 |
| | | 13 იანვარი | | | | | | |
| 23:15 | 549 | აკადემიკა-სპორტინგი | 5.30 | 3.30 | 1.60 | 2.03 | 1.22 | 1.07 |
| 23:15 | 550 | ბელენენსეში-ნავალი | 1.75 | 3.10 | 4.60 | 1.11 | 1.26 | 1.85 |
| 20:00 | 552 | ბოავიშტა-ლეირია | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 20:00 | 553 | ამადორა-ნასიონალი | 2.20 | 3.00 | 3.20 | 1.26 | 1.30 | 1.54 |
| | | 14 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 548 | სეტუბალი-გიმარაეში | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 9 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 1062 | არსენალი-ტოტენჰემი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 9 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 1075 | ბილბაო-ესპანიოლი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 23:00 | 1076 | ბეტისი-ვალენსია | 2.60 | 3.10 | 2.40 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| 23:00 | 1077 | ხეტაფე-ლევანტე | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:00 | 1078 | სარაგოსა-რასინგი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:00 | 1079 | უელვა-ვილიარეალი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 23:00 | 1080 | სევილია-ბარსელონა | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | 10 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 1081 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 1.35 | 3.80 | 7.90 | 1.00 | 1.15 | 2.56 |
| 23:45 | 1082 | მალიორკა-რეალი | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 9 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 1090 | ბეირა მარი-პენაფიელი | 1.55 | 3.40 | 5.30 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 23:45 | 1091 | სეტუბალი-სპორტინგი | 3.50 | 3.10 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



# ვლადივოსტოკიდან სალონიკში

## ბოისას ელადა და ევროლიგა

ვლადიმერ ბოისა სეზონის წინ იტალიურ „სიენადან“ რუსულ „სპარტაკ-პრიმორიეში“ რომ გადავიდა, ბერძნულ „არისთან“ გაფორმებული კონტრაქტი იუარა. ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც ვოვა შორეულ ვლადივოსტოკში წავიდა, ფინანსური კეთილდღეობა იყო. რუსულმა კლუბმა საქართველოს ნაკრების ფორვარდს იმაზე გაცილებით მეტი გადაუხადა, რასაც მას ევროპული გუნდები სთავაზობდნენ. და აი, ნახევარი სეზონის შემდეგ ბოისა „სპარტაკ-პრიმორიეს“ შორდება — ათენურმა „არისმა“ საქართველოს ნაკრების ლიდერთაგანზე არც რამდენიმე თვის შემდეგ თქვა უარი და ბოისამაც „ყვითლების“ მაისურა მოირგო.

თავისთავად საინტერესოა, რატომ დაშორდა ბოისა ვლადივოსტოკელებს. ვოვა ცუდად არ თამაშობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, პრიმორიელები მისგან გაცილებით მეტს მოელოდნენ. როგორც „სპარტაკის“ ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, გუნდის ხელმძღვანელობა ბოისათი კმაყოფილი არ იყო. ვლადივოსტოკელებს სურდათ, საქართველოს ნაკრების ფორვარდი მათი გუნდის წინამძღოლი ყოფილიყო, მაგრამ ლიდერის ტვირთი მეტად მძიმე საზიდი აღმოჩნდა ბოისასთვის და მანაც ამ ახალ წელს ყინულოვანი ვლადივოსტოკიდან მზიან საბერძნეთს მიაშურა.

ბოისა შემთხვევით არ მოხვედრილა „არისში“. იქ მწვრთნელად არის საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი გორდონ ჰერბერტი, რომელმაც ვოვას შესაძლებლობები მშვენივრად იცის და სეზონის წინ ამიტომაც იწვევდა თავისთან.

ფინანსურისა რა მოგახსენოთ და სპორტულ ამბავში „არისი“ „სპარტაკს“ ათი თავით ჯობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბერძნული კლუბი ევროლიგაში თამაშობს, თანაც, საბერძნეთი აქვეა, შავი ზღვის გაღმა, ვლადივოსტოკამდე კი ცხრა ზღვა და ცხრა მთაა გადასალახი.

ბოისა უკვე სალონიკშია და „არისში“ ვარჯიშობს. გუშინწინ მის გუნდს საბერძნეთის ჩემპიონატში თამაში ჰქონდა, მაგრამ ვოვას არ უთამაშია — იმ დღეს ჩავიდა ელადაში.

**ირაკლი პერტაია**

# ცინცაძის შურისძიება

გიორგი ცინცაძე და მისი „როკი“ ევროთასის ჯგუფის სათავეში გამაგრდნენ. ესტონურმა გუნდმა ქართველი გამთამაშებლისა და ამერიკელი ბრაიან ქუშვორტის დახმარებით სტუმრად 102:94 დაამარცხა ფინეთში საუკეთესო „ლაპეენრანტა“ და სამიდან ამდენივე გამარჯვებით თავის ჯგუფს საიმედოდ ლიდერობს.

ეს ენისმოსატეხი სახელის გუნდი ფინეთის ნაკრების წევრთა იმედადაა. პეტერ ვირტანენი და ამო ულანდერი საქართველოს ნაკრებს ცუდად ახსოვს — განსაკუთრებით კი პირველმა გააწამა ჩვენები, როცა შარშანწინდელ საკვალიფიკაციო მატჩში გორდონ ჰერბერტის გუნდს 7 სამქულიანი ჩაუგდო.

ამჯერადაც მოუწია ვირტანენს ქართველი ოპონენტის წინააღმდეგ თამაშმა, მაგრამ გვარიან წინააღმდეგობას წააწყდა და რაც ფინელისთვის ყველაზე დასანანია, მისმა გუნდმა წააგო.

გიორგი ცინცაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან 30 წუთში 19 ქულა, 5 მოხსნა და 6 პასი მიითვალა და ესტონელებს გამარჯვებაში ხელი გვარიანად წააშველა.

„ფინეთში თამაში ცოტა მეშინოდა — ამბობს „როკის“ მწვრთნელი ულარ კერდე — მე ვუყურე „ლაპენრანტას“ ბოლო მატჩს და დავინახე, რომ ეს კარგი მსროლელების გუნდია. მეოთხედ მოხდა ამ სეზონში, რომ მეტოქისგან 90-ზე მეტი ქულა მივიღეთ. ეს „ლაპენრანტამ“ მოახერხა და დაცვაში პრობლემები შეგვიქმნა. საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებმაც იციან, ასეთი მატჩები როგორ მოიგონ და მათი დახმარებით წარმატებას მივაღწიეთ“.

მწვრთნელმა „მცოდნე“ მოთამაშეებში ამერიკელი ქუშვორტი და, რა თქმა უნდა, გიორგი ცინცაძე იგულისხმა.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| როკი | 3 | 3 | 0 | 6 |
| სამარა | 3 | 1 | 2 | 4 |
| ლაპენრანტა | 3 | 1 | 2 | 4 |
| პაოკ | 3 | 1 | 2 | 4 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

**27 დეკემბერი**

დალასი 81:88 კლივლენდი
კლიპერსი 88:108 ფინიქსი
სიეტლი 96:104 ბოსტონი

**28 დეკემბერი**

ნიუ ჯერსი 109:106 ვაშინგტონი
მაიამი 114:121 ორლანდო
დეტროიტი 114:101 ინდიანა
მემფისი 83:103 ჰიუსტონი
ჩიკაგო 103:99 მილუოკი
სან ანტონიო 73:83 ტორონტო
ფინიქსი 94:88 კლიპერსი
საკრამენტო 80:92 ფილადელფია
პორტლენდი 109:98 მინესოტა
გოლდენ სტეიტი 120:124 დენვერი

**29 დეკემბერი**

დალასი 97:84 ატლანტა
ატლანტა: ფაჩულია (7 წუთი, 1 მოხსნა)
ვაშინგტონი 96:74 მაიამი
ორლანდო 104:95 შარლოტი
ინდიანა 92:98 დეტროიტი
ნიუ ორლეანი 86:76 კლივლენდი
მილუოკი 95:97 ნიუ ჯერსი
ჰიუსტონი 91:79 ტორონტო
იუტა 98:104 ბოსტონი
სიეტლი 109:90 მინესოტა

**30 დეკემბერი**

ნიუ იორკი 83:100 ჩიკაგო
პორტლენდი 97:72 ფილადელფია
დენვერი 95:105 გოლდენ სტეიტი
სან ანტონიო 111:87 მემფისი
საკრამენტო 102:117 ფინიქსი
ლეიკერსი 91:110 ბოსტონი

**31 დეკემბერი**

შარლოტი 107:103 ინდიანა
ჩიკაგო 100:112 ორლანდო
დეტროიტი 114:69 მილუოკი
ჰიუსტონი 95:112 გოლდენ სტეიტი
ნიუ ორლეანი 92:97 ტორონტო
იუტა 101:111 პორტლენდი
კლიპერსი 91:82 მინესოტა
სიეტლი 90:98 ფილადელფია

**2 იანვარი**

ვაშინგტონი 93:106 დეტროიტი
შარლოტი 97:109 ჩიკაგო
ორლანდო 95:96 ნიუ ჯერსი
კლივლენდი 98:94 ატლანტა
ინდიანა 72:90 მემფისი
ბოსტონი 97:93 ჰიუსტონი
ნიუ იორკი 97:107 საკრამენტო
მაიამი 98:103 მილუოკი
მინესოტა 79:90 პორტლენდი
დალასი 121:99 გოლდენ სტეიტი
იუტა 110:107 ფილადელფია
კლიპერსი 81:95 ნიუ ორლეანი

**3 იანვარი**

ჩიკაგო 109:115 პორტლენდი
დენვერი 80:77 სან ანტონიო
ფინიქსი 104:96 სიეტლი

**4 იანვარი**

ტორონტო 85:101 დეტროიტი
ორლანდო 94:96 ჰიუსტონი
ინდიანა 113:91 ატლანტა
ბოსტონი 100:96 მემფისი
ნიუ ჯერსი 102:96 შარლოტი
კლივლენდი 97:93 საკრამენტო
მინესოტა 107:118 დენვერი
მილუოკი 77:101 ვაშინგტონი
სან ანტონიო 97:93 ნიუ იორკი
დალასი 94:89 მაიამი
ლეიკერსი 124:93 ფილადელფია
გოლდენ სტეიტი 104:116 ნიუ ორლეანი

**5 იანვარი**

ატლანტა 107:113 ნიუ ჯერსი
ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია
დეტროიტი 85:92 ბოსტონი
ჩიკაგო 94:93 საკრამენტო
ჰიუსტონი 103:91 ნიუ იორკი
ფინიქსი 113:118 ნიუ ორლეანი
პორტლენდი 103:89 იუტა

**6 იანვარი**

ტორონტო 90:93 კლივლენდი
ვაშინგტონი 108:86 სიეტლი
მინესოტა 78:101 დალასი
კლიპერსი 82:88 სან ანტონიო
მემფისი 101:92 მაიამი
შარლოტი 89:93 მილუოკი
დენვერი 109:96 ფილადელფია
ლეიკერსი 112:96 ინდიანა

# დაუსხით პორტლენდს ცამეტი ჭიქა...

## ფაჩულიას საახალწლო ნულები

თქვენ ფიქრობთ, რომ ცუდია თვის წაგებით დაწყება და წაგებითვე დამთავრება? დამარცხებაში სიამოვნებას ალბათ მაზოხისტები თუ იპოვიან, მაგრამ ნბა-ს გუნდ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს“ სულ არ ადარდებს, დეკემბრის პირველი და ბოლო თამაში რომ წააგო, რადგან მათ შორის გამართული 13 შეხვედრა უკლებლივ თავისი გამარჯვებით დაასრულა და ზედიზედ მოგებათა სეზონური რეკორდიც თავად დაიწერა.

როდესაც ამ უცნაური გუნდის წარმატებების მიზეზთა ახსნას იწყებენ, მიმომხილველებს ხელჩასაჭიდი მტკიცებულებების სიმცირის გამო ენა ებმებათ, მეტოქეთა მწვრთნელები კი პირდაპირ ცოფდებიან. განსაკუთრებით „იუტას“ მოხვდა ამ გუნდისგან. „პორტლენდმა“ მას მოუგო 11, 16 დეკემბერს და 5 იანვარს და იმდენად გათავხედდა, რომ ჩრდილო-დასავლეთში ლიდერობაც კი დააკარგვინა. ჯერი სლოუნს ის თუ მოუშუშებს იარებს, რომ 31 დეკემბერს მისმა შეგირდებმა როგორღაც თავი დააღწიეს პორტლენდელთა მოჯადოებულ წრეს და შინ 111:101 აჯობეს. ეს იყო „პორტლენდის“ ერთადერთი მარცხი 2 დეკემბრის შემდეგ.

ცალკე აღნიშნად ღირს მათი ბოლო ჯახი: 6 იანვარს „პორტლენდს“ პირველი მეოთხედის ბოლოს დაემტვრა ლიდერი და საუკეთესო მექულე ბრენდან როი. იუტელებმა იფიქრეს, ახლა კი ხელიდან ვეღარ წაგვივლენო და იქ სულ სხვამ ჩასცა მათ პატივმოყვარეობას კიდევ ერთი ლახვარი. ვინმე მარტელ ვებსტერმა „იუტა ჯაზს“ 26 ქულა დაატეხა და აქედან 24 მესამე მეოთხედში ჩაუბარაბანა.

ახალი წლის დადგომამ რამდენადმე შეცვალა ვითარება ცხრილში. დასავლეთს ახალი ლიდერი ჰყავს. ჩემპიონ „სან ანტონიოს“ გამოუცხადდა არგენტინელი მოიერიშე მანუ ჯინობილი და მისგან ბოლო ორ თამაშში ოც-ოცზე მეტი ქულა მიიღო, მაგრამ მაინც მოუხდა პირველობის დათმობა სტივ ნეშის „ფინიქსთან“.

აღმოსავლეთის კი კვლავ „ბოსტონი“ განაგებს თავისი მომხიბვლელი შედეგით. „კელტებმა“ კონფერენციის მეორე ფავორიტ „დეტროიტსაც“ გაუფუჭეს ახალი წლის ერთი საღამო და ორიოდე კვირის წინა დამარცხებისთვის ... რიც იძიეს. ახლა მათ ზედიზედ ... მოგება აქვთ. ვინ იცის, სულ ... ლე „პორტლენდსაც“ გაუხუნონ ის თავისი „ზედიზედ 13“.

ისევ უჭირს 2006 წლის ჩემპიონ „მაიამის“, რომელსაც დუეინ უეიდის ჯადო ბურთაობაც ვერ შველის. თანაც ფლორიდელებს დალეწილი ჰყავთ ბებრუკი ტანკი შაკილ ონილი. ზედიზედ 7 თამაში ამ გუნდს არ მოუგია და, ვაი სირცხვილო, აღმოსავლეთში ბოლო ადგილს ტკეპნის მასზე უმაქნისი „ნიუ იორკის“ ზურგსუკანაც კი.

დაღმასვლა დაეწყო ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსს“. ზედიზედ ხუთი გამარჯვების წყალობით ჯორჯიელები აღმოსავლეთში მეოთხე ადგილამდე აღზევდნენ, მაგრამ რად გინდა, შემდეგ ზედიზედ ოთხჯერ წააგეს, ბალანსი გაიმინუსეს და მერვე ადგილამდე დაცურდნენ.

რაც შეეხება თავად ფაჩულიას, ნაახალწლევს ის ნამდვილად არ ჩანს საუკეთესო ფორმაში, მოედანზე რამდენიმე წუთით შედის და ძირითადად 0 ქულით გამოდის.

**კოტე ყორშია**



ბოლო ხანებში ზაზა ფაჩულიამ ბურთებიც დაკარგა და ქულებიც

# საახალწლო და ავსტრალიამდელი

## საჩოგბურთო წელი მწვანე კონტინენტზე იწყება

სანამ მთელი მსოფლიო შობა-ახალწელიწადს ზეიმობდა და ისვენებდა, ჩოგბურთელებმა მორიგი სეზონი დაიწყეს და 2008 წლის პირველი დღეებიდანვე მსოფლიოს კორტებს მოედვნენ. მეჩოგნეებმა უკვე რამდენიმე ტურნირი მოილიეს და არც ამ კვირაში არიან უქმად.

ბუნებრივია, რომ საჩოგბურთო ეპიცენტრი მწვანე კონტინენტზეა, სადაც დამდეგ ორშაბათს სეზონის პირველი დიდი მოვლენა — ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყება. მეჩოგნეები საამისოდ გამალებით ემზადებიან და ამიტომ ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ წინა დღეებში მომხდარს, რათა მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ ვინ რა ფორმაში ხვდება წლის პირველ სლემტურნირს


მიხაილ იუჟნი

### გასაჟეს უიღბლობა ლოდრას იღბალია

**კაცები**

ადელაიდა. ავსტრალია. ჰარდი

საპრიზო 465 000 დოლარი

**ფინალი**

მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) — იარკო ნიემინენი (3, ფინეთი) 6:3 6:4

ახალ სეზონში პირველად მიშელ ლოდრამ იხეირა, რომელმაც ადელაიდაში ყველა დაჯაბნა და კარიერის მეორე ტიტული გაინაღდა (აქამდე ATP-ის ტურნირი მხოლოდ 2004 წელს, ინგლისურ ჰერტოგენბოშში მოეგო).

ისე, წესით ფრანგი, საერთოდ ვერ უნდა მოხვედრილიყო ამ ტურნირზე. მის მაგივრად ადელაიდაში რიშარ გასკეს უნდა ეთამაშა, თუმც ახალგაზრდა გალმა ვარჯიშზე ტრავმა გაიმიზეზა და ამის გამო ავსტრალიაში თამაშზე ხელი აიღო.

თანამემამულის უიღბლობა ლოდრას იღბლად იქცა, რომელსაც ადელაიდაში ვერავინ გაუმკლავდა და მანაც პირადი ანგარიში 74 000 დოლარით შეივსო.

### ენდის ღია ბედი

**კაცები**

დოჰა. ყატარი. ჰარდი

საპრიზო 1 049 000 დოლარი

**ფინალი**

ენდი მიურეი (3, ბრიტანეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:4 4:6 6:2

ენდი მიურეი მასზე გაცემული ავანსების გამართლებას სეზონის დაწყებისთანავე შეუდგა. სპეციალისტთა დიდი ნაწილი ახალგაზრდა ბრიტანელს წლეულს სერიოზულ წარმატებებს უწინასწარმეტყველებს — ბევრი ენდის ახალ ნოვაკ ჯოკოვიჩად მოიაზრებს და სკოტისგან იმდაგვარვე შედეგებს ელის, როგორიც შარშან სერბმა აჩვენა.

მიურეიმაც დიდებულად დაიწყო ახალი სეზონი და დოჰას საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი ძალიან დამაჯერებლად მოიგო. ბრიტანელი ყატარში უდავოდ საუკეთესო იყო. მან თავის ისედაც მრავალფეროვან საჩოგბურთო არსენალს სიმძლავრეც შემატა და ამის გამო ერთიორად სახიფათოც შეიქნა. იგი ძალიან შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

შოტლანდიელმა საუკეთესო თვისებები ნახევარფინალში აჩვენა, როცა ტურნირის პირველ ნომერ ნიკოლაი დავიდენკოს ორ სეტში გადაურბინა და ძლიერ რუსს თითის განძრევის საშუალება არ მისცა. აი, ფინალში კი მიურეის მოულოდნელად ცოტა გაუჭირდა უფრო სუსტი სტანისლას ვავრინკას წაქცევა, თუმც გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.

“კარგია ასეთ ხასიათზე სლემტურნირზე ჩასვლა. ამ სეზონისთვის ძალიან სერიოზულად მოვემზადე — ასე ინტენსიურად ცხოვრებაში არ მივარჯიშია და ძალიან მიხარია, ჩემი წვალების შედეგს თავიდანვე რომ ვხედავ“.

მიურეისთვის ეს კარიერაში მოგებული მეოთხე ტიტულია. თან აქამდე ენდის ღია ცის ქვეშ ჰარდზე არასოდეს ემარჯვა — მან ორჯერ სან ხოსეში (ჰარდი, დარბაზი) და ერთხელაც სანკტ პეტერბურგში (დარბაზი, ქეჩა) იხეირა.


ენდი მიურეი

### ნადალის კითხვები: მაღალი, თუ დაბალი?

**კაცები**

ჩენაი. ინდოეთი. ჰარდი

საპრიზო 436 000 დოლარი

**ფინალი**

მიხაილ იუჟნი (4, რუსეთი) — რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) 6:0 6:1

საკმაოდ უცნაური შთაბეჭდილება დატოვა რაფაელ ნადალმა. ესპანელმა ვარსკვალბიჭუნამ ინდურ ჩენაიში მშვენივრად იჩოგნავა, რითაც ბევრი დაარწმუნა, რომ ავსტრალიურ სლემტურნირს კარგ ფორმაში ხვდებოდა. ნახევარფინალში კარლოს მოიასთან გამართული დერბი კი სულაც ფეერიული გამოდგა და ნამდვილ სანახაობად იქცა. ესპანელებმა თითქმის 4 საათი, უფრო ზუსტად კი 3 საათი და 56 წუთი იჭიდავეს. ეს ყველაზე ხანგრძლივი სამსეტიანი მატჩი გამოდგა ბოლო 15 წლის განმავლობაში. მალიორკელმა მოია ბოლოს მაინც გატეხა (6:7 7:6 7:6) და ფინალის საგზურიც გაინაღდა, მაგრამ...

აქ რაღაც სასწაული მოხდა, რადგანაც რაფასგან მიხაილ იუჟნიმ ქვა ქვაზე არ დატოვა. ეტყობა, ესპანელი ნახევარფინალში მაგრად გადაიღალა, რადგანაც ფინალში „დაღლა“ და ელემენტარულად, საერთოდ ვერ დარბოდა. ნადალის თამაში კი სწორედ მუდმივ მოძრაობაზე და დინამიკაზეა დაფუძნებული, რის გამოც გასაკვირი სულაც არ არის, რომ იუჟნიმ მხოლოდ გეიმი რომ აალებინა პირინეელს.

„ეს თამაში მე კი არ მოვიგე, მან წააგო. დღეს რაფა, რაფა არ იყო, საერთოდ ვერ დარბოდა. მოკლედ, მაგრად გამიმართლა“ — მხრებს იჩეჩდა ნამატჩევს გაკვირვებული იუჟნი.

ასე რომ, ნადალის ფიზიკური მზადყოფნის დონე გარკვეულ კითხვებს ბადებს.

### ჩინური ნალი

**ქალები**

გოლდ კოსტი. ავსტრალია

ჰარდი

საპრიზო 175 000 დოლარი

**ფინალი**

ნა ლი (ჩინეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 4:6 6:3 6:4

ნახევარწლიანი იძულებითი უქმობის შემდეგ წარმატებით დაუბრუნდა კორტს ნა ლი. ჩინელი გასული სეზონის პირველ ნახევარში ტოპ-ოცეულში შედიოდა და მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებს ტოლ-სწორად ეთამაშებოდა, თუმც უიმბლდონის წინ აზიელმა ტრავმა მიიღო, რის გამოც სეზონის მთელი მეორე ნახევარი გაუცდა.

თუმც ავსტრალიურ გოლდ კოსტში ლის უთამაშებლობის არაფერი ეტყობოდა. ჩინელმა აქ გზადაგზა ჩამოიცილა ტურნირის პირველი ნომერი ნიკოლ ვაიდიშოვა, მეოთხედ განთესილი პატი შნიდერი და ფინალში არც ვიქტორია აზარენკა დაინდო.

„ნამდვილად არ ველოდი აქ გამარჯვებას. თუმც თავიდანვე ყველაფერი კარგად აეწყო, ერთიორჯერ გამიმართლა და შედეგიც სახეზეა“ — ამაყი იყო ლი, რომლისთვისაც ეს კარიერაში მოგებული მეორე ტიტული გამოდგა.

### ლინდსის მისია

**ქალები**

ოკლენდი. ახალი ზელანდია. ჰარდი

საპრიზო 145 000 დოლარი

**ფინალი**

ლინდსი დევენპორტი (აშშ) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 6:2 6:2

ეტყობა, ლინდსი დევენპორტი ავსტრალიის ღია პირველობაზე მართლაც სერიოზული ძალა იქნება. ამერიკელმა მაორთა მიწაზე დაგვანახა, რომ მშვენიერ ფორმაშია და თითქმის ერთწლიანი უქმობიდან, გასულ სექტემბერში კორტზე მობრუნების შემდეგ აგერ უკვე მესამე ტურნირი მოიგო.

მართალია, ლინდსი ოკლენდში განთესილთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ მაინც მთავარი ფავორიტი იყო — მას ხომ უფრო მეტი ტიტული ჰქონდა მოგებული, ვიდრე ბადეში მყოფ ყველა დანარჩენს ერთად. იანკიმაც ეს საქმით დაამტკიცა, როცა ტურნირზე მხოლოდ ერთი სეტი წააგო.

„აქ მხოლოდ გასამარჯვებლად ჩამოვედი და მისია ავასრულე კიდეც. ამაზე კარგად, წელს ნაღდად ვერ დავიწყებდი“ — თვითდაჯერებული იყო დევენპორტი.

ლინდსისთვის ეს 54-ე საკარიერო ტიტული იყო, რითაც მან მონიკა სელეშს გადაასწრო და ყველაზე წარმატებულ ქალ მეჩოგნეთა სიაში მერვე ადგილზე აინაცვლა.

**კახა ლომაშვილი**


ლინდსი დევენპორტი




# ხუთგზის აჰონენი
## მფრინავი ფინელის ოთხი მთა

**თხილამურებით** ტრამპლინიდან მხტომელთა ლეგენდარული შეჯიბრი, „ოთხი მთის ტურნე", ფინელი იანე აჰონენის გამარჯვებით დასრულდა. 30 წლის აჰონენმა მეხუთედ მოიგო უპოპულარულესი საახალწლო შეჯიბრი და აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — აქამდე ოთხგზის ჩემპიონი ფინელი ამ რეკორდს ლეგენდარულ გერმანელ იენს ვაისფლოგთან ერთად იყოფდა.

ვაისფლოგმა „ოთხი მთის ტურნე" 1984-85, 1991 და 1996 წლებში მოიგო, ხოლო აჰონენმა 1999, 2003, 2005 და 2006 წლებში იპირველა და წლევანდელი გამარჯვებით ახალი რეკორდიც დაამყარა.

ერთი ეგაა, წლევანდელი შეჯიბრი მთლად სრულყოფილი ვერ გამოვიდა — გერმანული ობერსდორფისა და გარმიშ პარტენკირხენის შემდეგ სპორტსმენებმა ავსტრიაში გადაინაცვლეს, სადაც ინსბრუკისა და ბიშეფსჰოფენის ტრამპლინებზე უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ინსბრუკში, ბერგიზელის მთის ოლიმპიურ ტრამპლინთან საშინელი ქარი ამოვარდა, აღარც ამინდის პროგნოზი იყო სასიკეთო და ორგანიზატორებმა ტურნეს ორივე ავსტრიული ეტაპის ბიშეფსჰოფენში ჩატარება ბრძანეს.

აჰონენმა, სწორედ ბიშეფსჰოფენში გაილაღა, წყვილად იმარჯვა და საბოლოოდ პირველი ადგილიც დაიკავა. არადა, თითქმის ორი წელი აჰონენი ჩრდილში იყო მოქცეული და ბევრი თვლიდა, რომ მისი საუკეთესო წლები წარსულში დარჩა — 2006 წელს, ჩეხ იაკუბ იახდასთან ერთად ტურნეს მეოთხედ მოგების შემდეგ აჰონენი ტურინის ოლიმპიადაზე უმთავრესი ფავორიტის რანგში ჩავიდა, მაგრამ სრული კრახი განიცადა და კრიზისიდან ვეღარც შარშანდელ სეზონში გამოვიდა. დამაიმედებელი არც 2007-2008 წლების სეზონის სტარტი გამოდგა, მაგრამ დაიწყო „ოთხი მთის ტურნე" და ყველამ ძველი აჰონენი იხილა.

ობერსდორფში, 30 დეკემბერს, ფინელი მესამე იყო ავსტრიელების — სეზონის ლიდერ ტომას მორგენშტერნისა და ჭაბუკი გრეგორ შლირენცაუერის შემდეგ. გარმიშ პარტენკირხენში, უკვე შლირენცაუერმა იმარჯვა, აჰონენი მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო მორგენშტერნს სეზონში პირველი ეტაპი ჩაუვარდა — მხოლოდ მეექვსე იყო. ავსტრიელთა ტრიუმფი თითქოს ავსტრიაშიც უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ „მფრინავმა ფინელმა" მასპინძლები აშკარად დაჯაბნა — პირველ ბიშეფსჰოფენურ ეტაპზე 139,5 და 138,0-მეტრიანი ნახტომებით შანსი არავის დაუტოვა და იგივე განმეორდა მეორე დღესაც. მორგენშტერნმა, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები დაიკავა და ტურნეს საერთო ჩათვლაში თითქმის ოცი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს, ხოლო ქშლირენცაუერი, ვინც ორი ეტაპის შემდეგ ლიდერობდა, სამშობლოში ჩაფლავდა — მეორე დღის პირველი ნახტომი საერთოდ ჩაუვარდა, მეორე ცდაზე გამოსვლის უფლება ვერ მიიღო და გენერალურ კლასიფიკაციაში უქულოდ დარჩა.

რაც შეეხება მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას, აქ კვლავაც მორგენშტერნი ლიდერობს დიდი უპირატესობით, შლირენცაუერი მეორეა, ხოლო აჰონენმა მესამე ადგილზე აინაცვლა.

## ოთხი მთის ტურნე

**ობერსდორფი. გერმანია. HS 137. 30 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 295,9 ქულა (136,5 მ და 141,5 მ) |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 280,7 (136,0 და 130,5 |
| 3. იანე აჰონენი (ფინეთი) | 279,0 (130,5 და 137,0) |
| 4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 277,9 (133,0 და 132,5) |
| 5. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 269,9 (129,0 და 131,5) |

**გარმიშ პარტენკირხენი. გერმანია. HS 140. 1 იანვარი**

| | |
|---|---|
| 1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 274,4 (132,0 და 141,0) |
| 2. იანე აჰონენი (ფინეთი) | 272,7 (139,0 და 135,0) |
| 3. მიხაელ ნოიმაიერი (გერმანია) | 258,6 (131,5 და 135,5) |
| 4. რომან კუდელკა (ჩეხეთი) | 256,7 (132,0 და 132,0) |
| 5. ადამ მალიში (პოლონეთი) | 256,6 (133,0 და 131,5) |

**ბიშეფსჰოფენი. ავსტრია. HS 140. 5 იანვარი**

| | |
|---|---|
| 1. იანე აჰონენი (ფინეთი) | 282,5 (139,5 და 138,0) |
| 2. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 271,4 (138,0 და 132,5) |
| 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 259,4 (126,5 და 139,0) |
| 4. დმიტრი ვასილიევი (რუსეთი) | 257,1 (133,0 და 131,5) |
| 5. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 256,6 (132,5 და 132,0) |

**ბიშეფსჰოფენი. ავსტრია. HS 140. 6 იანვარი**

| | |
|---|---|
| 1. იანე აჰონენი (ფინეთი) | 251,6 (126,0 და 136,0) |
| 2. ანდერს ბარდალი (ნორვეგია) | 243,6 (132,5 და 124,5) |
| 3. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 242,7 (121,0 და 135,5) |
| 4. მარტი შმიტი (გერმანია) | 235,7 (121,5 და 132,5) |
| 5. დენის კორნილოვი (რუსეთი) | 232,6 (120,0 და 132,0) |

**საბოლოო მდგომარეობა**

| | |
|---|---|
| 1. იანე აჰონენი (ფინეთი) | 1085,8 ქულა |
| 2. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 1066,0 |
| 3. მიხაელ ნოიმაიერი (გერმანია) | 994,6 |
| 4.ადამ მალიში (პოლონეთი) | 979,9 |
| 5. დმიტრი ვასილიევი (რუსეთი) | 977,5 |

**მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 940 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 654 |
| 3. იანე აჰონენი (ფინეთი) | 615 |
| 4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 402 |
| 5. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 398 |

# ახალი წრე და ახალი ხალხი: ჩეხი ბაუერი და შვედი კალა

**28 დეკემბერს** ჩეხურ ნოვე მესტოში დაიწყო, ნაახალწლევს იტალიურ ასიაგოში გაგრძელდა და 6 იანვარს იტალიაშივე, ვალ დი ფიემეში დასრულდა ისტორიაში მეორე მრავალდღიანი სათხილამურო შეჯიბრი „ტურ დე სკი".

ლეგენდარული ნორვეგიელის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის ვეგრად ულვანგის ინიციატივით მოწყობილმა ამ შეჯიბრმა ბარის თხილამურობას არნახული პოპულარობა მოუტანა და ყველაზე სანახაობრივ სახეობათა რიცხვში შეიყვანა.

„სათხილამურო ტურის" პროგრამაში, როგორც კაცების, ისე ქალებისთვის, პროლოგიანი რვა ეტაპი იყო — პროლოგი კლასიკური სტილით, გამოდევნებით რბოლა თავისუფალი სტილით, სპრინტი, თავისუფალი გამოდევნება, ინდივიდუალური რბოლა კლასიკური სტილით, მეორე სპრინტი, კლასიკური რბოლა მასობრივი სტარტით და ბოლოს, თავისუფალი გამოდევნება ურთულესი სამთო ფინიშით.

კაცებში რიგით მეორე „ტურ დე სკი" უზარმაზარი უპირატესობით მოიგო ჩეხმა ლუკაშ ბაუერმა, ვინც რვიდან ხუთ ეტაპზე საუკეთესო იყო. ბაუერმა მშობლიურ ნოვე მესტოში გამართული პროლოგიც მოიგო და ოთხიდან სამ ეტაპზეც იპირველა. სამშობლოში ლუკაშმა მხოლოდ სპრინტი დათმო, რომელიც რუსი მორილოვის გამარჯვებით დასრულდა. იტალიური სპრინტი და კლასიკური მასსტარტი ნორვეგიელებმა, ნორტუმა და ჰელმესეტმა კი მოიგეს, მაგრამ დასკვნითი, სამთო ეტაპის წინ ბაუერს უახლოეს მდევართან, კიდევ ერთ ნორვეგიელ გიერდალენთან, ორწუთნახევრიანი უპირატესობა ჰქონდა და ურთულეს, ხუთკილომეტრიან აღმართში ეს უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

სამთო რბოლაში საუკეთესო შედეგი გერმანელმა რენე ზომერფელდმა აჩვენა და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე აინაცვლა, ხოლო ფინიშთან მესამე, იტალიელი ქომაგების გასახარად, ვეტერანი ჯორჯო დი ჩენტა იყო.

ქალთა შორის ყველაფერი საბოლოო ეტაპზე გადაწყდა, როდესაც შარშანდელმა ჩემპიონმა ფინელმა ვირპი კუიტუნენმა ვერ გაუძლო ახალგაზრდა შვედის, შარლოტა კალას დაწოლას და ორმოცწამიანი უპირატესობა გაფლანგა.

კუიტუნენი პროლოგში გამარჯვებით დაწინაურდა და მართალია, ჩეხეთში გამართული სხვა რბოლები ნორვეგიელმა ვეტერანმა მარიტ ბიორგენმა, იტალიელმა არიანა ფოლისმა, კალამ და კუიტუნენის თანამემამულე საარინენმა მოიგეს, ვირპიმ პირველობა მაინც შეინარჩუნა.

ასიაგოში გამართულ სპრინტში კალა საუკეთესო იყო და მან კუიტუნენთან ჩამორჩენა 0,2 წამამდე შეამცირა, მაგრამ 10-კილომეტრიანი მასსტარტი ისევ ვირპიმ მოიგო და ბოლო ეტაპის წინ შვედს 39,7 წამით გაუსწრო. თითქოს საკმარისი მარაგი იყო, მაგრამ დაიწყო აღმართი და ფინელის უპირატესობა გაზაფხულის თოვლივით გაქრა — კალა კუიტუნენს საკმაოდ მალე დაეწია, მერე ცოტახანს კუდში ეჯდა და შემდეგ კი ისე ჩაუქროლა, თითქოს ვირპი გაჩერებული ყოფილიყოს.

კალამ „ტურ დე სკი" მოიგო და ამ გამარჯვებით მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლასაც სათავეში ჩაუდგა. კუიტუნენი შვედს 36 წამით ჩამორჩა, ხოლო მესამე ფინიშს, ქალებშიც იტალიელმა, კერძოდ კი, არიანა ფოლისმა უწია.


ლუკაშ ბაუერი



შარლოტა კალა

**მეორე „ტურ დე სკი". 28 დეკემბერი - 6 იანვარი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| 1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 3 სთ 38 წთ 07,4 წმ |
| 2. რენე ზომერფელდი (გერმანია) | %2 წთ 47,3 წმ |
| 3. ჯორჯო დი ჩენტა (იტალია) | %2.47,6 |
| 4. ტორ ასლე გიერდალენი (ნორვეგია) | %2.53,9 |
| 5. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | %3.04,0 |

**მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 816 ქულა |
| 2. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 515 |
| 3. რენე ზომერფელდი (გერმანია) | 514 |
| 4. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 421 |
| 5. ტორ ასლე გიერდალენი (ნორვეგია) | 371 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 1. შარლოტა კალა (შვედეთი) | 2 სთ 43 წთ 01,0 წმ |
| 2. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | %36,4 წმ |
| 3. არიანა ფოლისი (იტალია) | %53,3 |
| 4. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა) | %1.09,2 |
| 5. ოლგა როჩევა (რუსეთი) | %1.14,8 |

**მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. შარლოტა კალა (შვედეთი) | 795 ქულა |
| 2. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 669 |
| 3. არიანა ფოლისი (იტალია) | 601 |
| 4. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | 507 |
| 5. კლაუდია კუნცელი (გერმანია) | 431 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეგულარული ჩემპიონატი

NHL

### 27 დეკემბერი

ტამპა — მონრეალი 2:5; ფილადელფია — ტორონტო 4:1; ოტავა — აილენდერსი 5:2; ფინიქსი — მინესოტა 2:3; ედმონტონი — ანაჰაიმი 1:2; ატლანტა — ფლორიდა 3:5; პიტსბურგი — ვაშინგტონი 4:3 (ოვერტაიმში); ნეშვილი — კოლუმბუსი 4:3; კოლორადო — დეტროიტი 2:4; ვანკუვერი — კალგარი 5:3

### 28 დეკემბერი

ნიუ ჯერსი — ბუფალო 2:1 (ბულიტებით); ფლორიდა — მონრეალი 1:5; კაროლინა — ბოსტონი 4:3; სენტ ლუისი — სან ხოსე 0:1

### 29 დეკემბერი

ტამპა — ფილადელფია 2:4; ოტავა — ვაშინგტონი 6:8; აილენდერსი — ნიუ ჯერსი 5:2; კოლუმბუსი — კაროლინა 4:1; მინესოტა — ედმონტონი 5:4 (ოვერტაიმში); კოლორადო — ლოს ანჯელესი 1:3; ტორონტო — რეინჯერსი 1:6; ატლანტა — ბოსტონი 5:0; პიტსბურგი — ბუფალო 2:0; ნეშვილი — სან ხოსე 2:5; ფინიქსი — დეტროიტი 2:4; კალგარი — ანაჰაიმი 5:3; დალასი — სენტ ლუისი 5:4 (ბულიტებით)

### 30 დეკემბერი

ფლორიდა — ფილადელფია 0:1; რეინჯერსი — მონრეალი 4:3 (ოვერტაიმში); ჩიკაგო — ლოს ანჯელესი 2:3 (ოვერტაიმში); ვანკუვერი — ანაჰაიმი 2:1

### 31 დეკემბერი

ბოსტონი — ატლანტა 5:2; მინესოტა — სან ხოსე 2:3; ფინიქსი — კოლორადო 4:3 (ბულიტებით); დალასი — ნეშვილი 0:1; კოლუმბუსი — ედმონტონი 4:2; დეტროიტი — სენტ ლუისი 0:2; კაროლინა — აილენდერსი 1:4; კალგარი — ვანკუვერი 2:1

### 1 იანვარი

ბუფალო — პიტსბურგი 1:2 (ბულიტებით); ტორონტო — ტამპა 4:3 (ბულიტებით); ვაშინგტონი — ოტავა 6:3; ლოს ანჯელესი — ჩიკაგო 9:2

### 2 იანვარი

ნიუ ჯერსი — ფლორიდა 3:2; დეტროიტი — დალასი 4:1; კოლორადო — ფინიქსი 2:5; ანაჰაიმი — კოლუმბუსი 2:1; კაროლინა — ატლანტა 4:5 (ოვერტაიმში); სენტ ლუისი — ედმონტონი 2:3 (ოვერტაიმში); კალგარი — რეინჯერსი 4:3

### 3 იანვარი

ბოსტონი — ვაშინგტონი 2:0; პიტსბურგი — ტორონტო 6:2; ნეშვილი — ედმონტონი 5:2; ფინიქსი — ჩიკაგო 4:2; სან ხოსე — კალგარი 2:3 (ოვერტაიმში); აილენდერსი — ფლორიდა 3:4 (ოვერტაიმში); მონრეალი — ტამპა 6:3; მინესოტა — დალასი 6:3; ვანკუვერი — რეინჯერსი 3:0; ლოს ანჯელესი — კოლუმბუსი 3:4

### 4 იანვარი

ნიუ ჯერსი— ფილადელფია 3:0; ბუფალო — ოტავა 3:5; ატლანტა — კაროლინა 3:4; ანაჰაიმი — ჩიკაგო 2:1

### 5 იანვარი

მონრეალი — ვაშინგტონი 4:5 (ოვერტაიმში); პიტსბურგი — ფლორიდა 3:0; ბოსტონი — ნიუ ჯერსი 4:3; ნეშვილი — მინესოტა 4:1; ფინიქსი — ანაჰაიმი 3:2 (ბულიტებით); დალასი — დეტროიტი 0:3; ტორონტო — ფილადელფია 2:3; ოტავა — ტამპა 4:3 (ოვერტაიმში); სენტ ლუისი — კაროლინა 1:0; კოლორადო — აილენდერსი 2:1 (ოვერტაიმში); ედმონტონი — რეინჯერსი 3:2 (ბულიტებით); ლოს ანჯელესი — კალგარი 4:6; სან ხოსე — კოლუმბუსი 3:2

### 6 იანვარი

ატლანტა — ბუფალო 5:2; ჩიკაგო — დეტროიტი 1:3

### 7 იანვარი

დალასი — მინესოტა 3:1; ანაჰაიმი — ნეშვილი 5:2; ედმონტონი — აილენდერსი 4:0

# პინგვინთა ელვა შელვო ცაზე

**ნჰლ-ში** საშობაოდ კი დაისვენეს, მაგრამ ახალ წელს ჰოკეისტები ლამის ყინულზე შეხვდნენ. ჩრდილო ამერიკის ყინულოვან მოედნებზე საქმიანობა ოდნავადაც არ შენელებულა — გუნდები ისევ გამალებით ერკინებიან ერთმანეთს და სტენლის თასისთვის ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად არც საკუთარ თავს ინდობენ და არც მეტოქეებს. რეგულარულმა სეზონმა ეკვატორი უკვე გადალახა, მაგრამ ცხრილში ჯერჯერობით ბევრი არაფერი გარკვეულა.

ერთადერთი „დეტროიტია“, შეუჩერებლად რომ მიექანება — „წითელფრთიანები“ სტარტზე აღებულ უმძლავრეს ტემპს ოდნავადაც არ უკლებენ და ისე მიქრიან წინ, რომ შეიძლება, ნჰლ-ის რამდენიმე რეკორდს გამოჰკრან ხელი. კერძოდ კი, სეზონის შუაწელისთვის, ანუ 41 ჩატარებული შეხვედრის შემდეგ გუნდმა 63 ქულა დააგროვა, რაც ლიგის ისტორიაში საუკეთესო შედეგია. „დეტროიტს“ რეგულარული ჩემპიონატის მოგება არ უნდა გაიჭირდეს — უახლოეს მდევარ „ოტავას“ 9 ქულას უგებს, თავის კონფერენციას კი მთელი 15-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს.

რახან „დეტროიტით“ დავიწყეთ, დასავლეთ კონფერნეციას გადავავლოთ თვალი, სადაც გუნდები ისევ მჭიდროდ განლაგებულან და პლეიოფში გასვლის შანსებს ინარჩუნებენ („ლოს ანჯელესის“ გარდა). თანდათან მოუმატა „სან ხოსემ“, რომელიც თავის წყნაროკეანური დივიზიონს სათავეში მოექცა. თუმც „ზვიგენები“ ძალიან უცნაურად გამოიყურებიან, რადგანაც თითქმის ვერ ახერხებენ საკუთარ ყინულზე მოგებას, სამაგიეროდ, გასვლაზე ნოემბრის შემდეგ არ წაუგიათ.

მოუმატა „კალგარიმაც“, რომელიც სულ უფრო დამაჯერებლად გამოიყურება. „ალების“ პროგრესის უმთავრეს პირობად მეკარე მიკა კიპრუსოფის ათამაშება იქცა, რომელიც მძიმე სტარტის შემდეგ ჩვეულ ფორმაში შედის. ფანტასტიკურია კაპიტანი ჯერომ იგინლაც, რომელიც ბომბარდირთა და სნაიპერთა დავაში მეორე ადგილზეა და თავის საუკეთესო რეგულარულ სეზონს ატარებს.

საპლეიოფო ზონაშია „კოლორადოც“, თუმც გუნდს უმძიმესი ორი თვე ელის წინ. საქმე იმაშია, რომ „ზვავებს“ ლიდერები — ჯო საკიკი და რაიან სმიტი არ ეყოლებათ. პირველმა შეიძლება წლეულს ვეღარც ითამაშოს, სმიტი კი, საეჭვოა, მარტამდე ყინულზე გამოჩნდეს.

გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს აღმოსავლეთ კონფერენციასაც, სადაც „ოტავამ“ ერთი პირობა კი მოუკლო, მაგრამ პირველობას მაინც ინარჩუნებს. თუმც დედაქალაქური გუნდის შიგნით საკმაოდ დაძაბული ვითარებაა, რისი მთავარი მიზეზიც აწ უკვე ექს-ძირითადი მეკარე რეი ემერია — ეს ბიჭი თავისი ადგილის დაკარგვას ვერ ურიგდება და ხან ამუნიციას ამსხვრევს ყინულზე, ხან პარტნიორებთან მართავს ხელჩართულ ბრძოლას და ხანაც მწვრთნელებთან ჩხუბობს.

აღმოსავლეთის სხვა გუნდებიდან კი „პიტსბურგი“ უნდა გამოიყოს, რომელმაც მაგრად მოუმატა და დივიზონის ლიდერ „ნიუ ჯერსის“ მხოლოდ ქულითღა ჩამორჩება. „პინგვინების“ წარმატებებს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს — როგორც იქნა, საკადრის დონეზე ათამაშდნენ სიდნი კროსბი და ევგენი მალკინი, რომლებიც აგერ უკვე ზედიზედ ხუთ-ხუთ მატჩია, უქულოდ არ ტოვებენ ყინულს. თუმც ანტარქტიდის ბინადართა ასეთი დაწინაურების მთავარი მიზეზი ქვედა ლიგიდან იძულებით გამოძახებული კარის დარაჯი ტაი კონკლინია. საქმე იმაშია, რომ დეკემბრის შუაწელზე ტრავმა მიიღო გუნდის მთავარმა მეკარე მარკ-ანდრე ფლერიმ, მალე თამაშგარე დარჩა მისი შემცვლელი დენი საბურინიც და „პინგვინებსაც“ კონკლინიღა შერჩათ. თუმც ამ კიპერმა აშკარად გაამართლა — უბრალოდ, დიდებულად ირჯება და საშუალოდ მხოლოდ 1,5 შაიბას უშვებს, რაც დღევანდელ ნჰლ-ში ფანტასტიკური შედეგია.



ტაი კონკლინმა „პინგვინები“ ალაზევა



ჯერომ იგინლას „კალგარი“ ჩრდილო-აღმოსავლეთში აალდა

კონფერენციისა და ალბათ მთლიანად ლიგის მთავარი იმედგაცრუება კი „ტამპაა“. 2004 წლის სტენლის თასის გამარჯვებული აღმოსავლეთში ბოლო, მე-15 ადგილზეა და ჯერჯერობით არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ გუნდი ამ სიტუციიდან თავის დაღწევას შეძლებს. „ელვები“ ლოკაუტის შემდეგ შემოღებული საგადასახადო ჭერის მსხვერპლნი არიან, რადგანაც წამყვან ტრიოს — ვენსან ლეკავალიე-მარტინ სენ ლუი-ბრედ რიჩარდსს იმდენს უხდიან, რომ უბრალოდ, ფული არ ჰყოფნით დანარჩენი შემადგენლობის დასაკომპლექტებლად. ერთი, თუნდაც სუპერსამეულით კი ნჰლ-ში ფონს ვერ გახვალ და ფლორიდელებიც ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენ.

**ბაჩა ლომაშვილი**

## აღმოსავლეთი

### ატლანტიკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 41 | 23 | 15 | 3 | 101:97 | 49 |
| პიტსბურგი | 41 | 23 | 16 | 2 | 120:114 | 48 |
| რეინჯერსი | 42 | 20 | 17 | 5 | 102:104 | 45 |
| ფილადელფია | 39 | 20 | 15 | 4 | 118:110 | 44 |
| აილენდერსი | 41 | 20 | 17 | 4 | 98:114 | 44 |

### ჩრდილო-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 41 | 27 | 10 | 4 | 148:116 | 58 |
| მონრეალი | 41 | 20 | 13 | 8 | 126:117 | 48 |
| ბოსტონი | 41 | 21 | 16 | 4 | 108:108 | 46 |
| ბუფალო | 40 | 19 | 18 | 3 | 120:117 | 41 |
| ტორონტო | 42 | 16 | 18 | 8 | 120:136 | 40 |

### სამხრეთ-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 44 | 21 | 19 | 4 | 134:141 | 46 |
| ატლანტა | 43 | 21 | 21 | 1 | 124:142 | 43 |
| ფლორიდა | 42 | 19 | 20 | 3 | 104:115 | 41 |
| ვაშინგტონი | 42 | 17 | 20 | 5 | 117:131 | 39 |
| ტამპა | 42 | 15 | 22 | 5 | 121:144 | 35 |

NHL

## დასავლეთი

### ცენტრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 43 | 32 | 8 | 3 | 151:90 | 67 |
| სენტ ლუისი | 39 | 20 | 14 | 5 | 97:99 | 45 |
| კოლუმბუსი | 42 | 19 | 17 | 6 | 105:102 | 44 |
| ნეშვილი | 41 | 20 | 19 | 2 | 114:122 | 42 |
| ჩიკაგო | 41 | 19 | 19 | 3 | 118:122 | 41 |

### ჩრდილო-დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალგარი | 43 | 22 | 14 | 7 | 129:126 | 51 |
| ვანკუვერი | 41 | 23 | 14 | 4 | 108:93 | 50 |
| მინესოტა | 42 | 23 | 17 | 2 | 111:117 | 48 |
| კოლორადო | 41 | 22 | 16 | 3 | 119:118 | 47 |
| ედმონტონი | 44 | 19 | 21 | 4 | 115:131 | 42 |

### წყნარი ოკეანე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 41 | 23 | 12 | 6 | 105:94 | 52 |
| დალასი | 44 | 24 | 16 | 4 | 129:114 | 52 |
| ანაჰაიმი | 45 | 22 | 17 | 6 | 112:119 | 50 |
| ფინიქსი | 40 | 21 | 18 | 1 | 106:107 | 43 |
| ლოს ანჯელესი | 43 | 15 | 26 | 2 | 123:143 | 32 |





ახალმა მაკლარენელმა ჰეიკი კოვალაინენმა ახალ ფერარის მუშტი მოუღერა

# ახალი ფერები: ფერარი, მაკლარენი და უილიამსის შარი

**საპირველ-ფორმულო** სეზონის დაწყებამდე ჯერ ადრეა, მაგრამ გამონაბოლქვის სუნი უკვე დადგა, თანაც როგორი — შარშანდელი სეზონის ავან-ჩავანებმა და ახალი სეზონის უმთავრესმა ფავორიტებმა, იტალიურმა „ფერარიმ" და ინგლისურმა „მაკლარენმა" ახალი ბოლიდები წარუდგინეს ფართო საზოგადოებას.

F2008-ს პრეზენტაცია იტალიურმა საჯინიბომ კვირას მოახდინა. „სკუდერიამ" მთელი რიგი ტექნიკური სიახლეები წარმოადგინა, მათ შორის, პირველ რიგში ელექტრონიკის მხრივ და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ფინელმა კიმი რაიკონენმა ბრძანა, ახალი ბოლიდით გასწრება გაცილებით იოლი იქნებაო.

ელექტრონიკა ვახსენეთ და ეს სისტემა წლეულს ყველა გუნდისთვის ერთნაირი იქნება. აქედან გამომდინარე, „ფერარიმ" სხვა ასპექტებზეც გააკეთა აქცენტი და როგორც ამბობენ, განსაკუთრებით გააუმჯობესა გადაცემათა კოლოფი და პილოტთა დამცველი ატრიბუტიკა. ახალი მოთხოვნების შესაბამისად, ახალი „ფერარი" წინამორბედზე მძიმეა და მისი წონა პილოტთან ერთად 605 კილოგრამს შეადგენს.

კიმი რაიკონენმა ახალი „ფერარით" პირველი ტესტი უკვე ორშაბათს ჩაატარა და იმავე დღეს პრეზენტაცია ფინელის ძველმა გუნდმა „მაკლარენ-მერსედესმაც" მოაწყო.

შარშანდელი სეზონის სენსაციას, შავკანიან ბრიტანელ ლუის ჰემილტონს ახალი „მაკის" წარმოდგენაზე გვერდს რაიკონენის თანამემამულე ჰეიკი კოვალაინენი უმშვენებდა, ვინც შარშან ფრანგული „რენოს" ღირსებას იცავდა. თუ გავიხსენებთ, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი ფერნანდო ალონსო „მაკლარენიდან" თავის ძველ გუნდში, „რენოში" დაბრუნდა, გამოვა, რომ ინგლისურმა და ფრანგულმა საჯინიბოებმა კარგა გემრიელი როქი გააკეთეს — ალონსომ და კოვალაინენმა ადგილები გაცვალეს და ახალ სეზონში მართლაც საინტერესო იქნება მათი რბოლას ცქერა.

MP4-3, როგორც ვთქვით, ორშაბათს წარუდგინეს საზოგადოებას. წინა მოდელთან შედარებით, რონ დენისის დიზაინერ-კონსტრუქტორებმა საკმაოდ ბევრი შეცვალეს — მთლიანად გადაკეთდა გადაცემათა კოლოფი, ახალია ბოლიდის წინა მხარე და ძველთან შედარებით, საბურავების ბაზაც სრულიად განახლებული იქნება.

...„ფერარი", „მაკლარენი", და ბოლო ოცდაათწლეულის მესამე ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, „უილიამსის" წარმომადგენლებმა კი სრულიად მოულოდნელად განაცხადეს, რომ პირველად ისტორიაში, არ მოახდენენ ახალი სეზონის წინ ახალი ბოლიდის პრეზენტაციას.

როგორც სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოში განაცხადეს, გუნდის მთელი მეცადინეობა იმისკენაა მიმართული, რათა „უილიამსს" ძველი დიდება დაუბრუნონ და ამ დროს პომპეზური პრეზენტაციებისთვის ფულის გადაყრა ზედმეტ ფუფუნებად სჩანს.

საკმაოდ ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ, გასულ სეზონში, „უილიამსმა" ნაბიჯი წინ გადადგა, გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა და სერ ფრენკის გუნდის იმედოვნებს, რომ ახალი FW30 უფრო წინაც წავა.

**გია ფოცხვერაძე**

მძლეოსნობა

# კაი იყავი, კაისა

## შვედეთმა ბერგკვისტი დაკარგა, ბერგკვისტმა ოჯახი ნახა



**კაცობრიობის** დიდი ნაწილისთვის ახალი წლის დადგომა რაღაც ახალ საწყისთან ასოცირდება, შვედური სამძლეოსნო სკოლისთვის კი 2008 წლის დადგომასთან ერთად მთელი ეპოქა დასრულდა — სარბიელს და ტრიბუნებს გამოემშვიდობა ბოლო ათწლეულის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სიმაღლეზე მხტომელი კაისა ბერგკვისტი.

„ეს გადაწყვეტილება ჩემს გონებაში მთელი შემოდგომის განმავლობაში მწიფდებოდა — თქვა მსოფლიოს 31 წლის ექსჩემპიონმა — 2007 წელი ჩემთვის ტრავმასთან და საკუთარ თავთან ბრძოლის წელიწადი იყო. სპორტი არ უნდა იქცეს ტანჯვად, მან სიამოვნება უნდა მოგანიჭოს, ხოლო, როცა ყველაფერი არასწორი გზით მიდის, ჩემს ასაკში ლოგიკურია ასეთი გადაწყვეტილების მიღება."

კაისა თავისი დროის ნამდვილი ვარსკვლავი იყო. 2000 წლიდან ის ელიტაში გაერია და 7 წლის განმავლობაში ზედიზედ 26 შეჯიბრებაზე დაძლია 2-მეტრიანი თამასა. ის ნებისმიერ ტურნირზე მთავარ ფავორიტთა შორის ეწერა. ხშირად ამართლებდა ამ სტატუსს, იშვიათად — ვერა, მაგრამ მის კარიერას თან გასდევდა სხვადასხვა ტრავმა და სწორედ ფიზიკურმა მხარემ აიძულა, ოლიმპიადის დაწყებიდან რამდენიმე თვით ადრე სპორტისთვის თავი დაენებებინა. შვედ კალია-ქალს უდიდეს იმედგაცრუებად სწორედ ის გაჰყვება, რომ ვერც ერთხელ ვერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი — 2000 წელს სიდნეიში ის ბრინჯაოს დასჯერდა, 2004 წლის ათენის ოლიმპიადა კი, რომელიც ლოგიკით მისი ბენეფისად უნდა ქცეულიყო, ტრავმის გამო გაუცდა.

კაისას ყველაზე დიდი გამარჯვება 2005 წელს ჰელსინკში მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაა. მისი პირადი რეკორდია 206 სანტიმეტრი და ამ შედეგით ის ყველა დროის მესამე ქალი მხტომელია ბულგარელი სტეფკა კოსტადინოვას (209 სმ) და ხორვატი ბლანკა ვლასიჩის (207 სმ) შემდეგ. კაისა ფლობს მსოფლიოს რეკორდს ჭერქვეშ, ანუ დარბაზებში გამართულ შეჯიბრებებში — 208 სმ.

„უკან რომ ვიხედები, ყველაზე ტკბილად 2005 წლის ჰელსინკი მახსენდება. კარგი იყო შემდეგ ზამთარს დარბაზში ნაჩვენები 208-ც, მაგრამ არასდროს განმიცდია ისეთი ბედნიერება, რომელიც ყველა ჩემს ტკივილს და წვალებას ერთბაშად გადაწონიდა. მქონდა ერთი ასეთი წამი — მსოფლიო რეკორდს, 2,10 მეტრს რომ შევუტიე. სამივე ცდა კარგი იყო, მაგრამ... ახლა ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო. მე და ჩემი დიდი ხნის ბოიფრენდი დავქორწინდით და საცხოვრებლადაც მონაკოდან სტოკჰოლმში დავბრუნდები."

**კოტე ყორშია**

# ირაკლი მაჩხანელი ათასად დაფასდა
## კვარციტმა ჯიბეზე ხელი გაიკრა


დავით კაჭარავა


ირაკლი მაჩხანელი


ნიკო ჭავჭავაძე

# შინაური 15 დაჯილდოვდა

*2007 წელი საქართველოს რაგბის კავშირმაც შეაჯამა. ცერემონიალი კინოთეატრ „რუსთაველის“ მეხუთე დარბაზში გაიმართა. სანამ ნომინაციებში საუკეთესონი გაირკვეოდნენ, საღამოს ორგანიზატორებმა მსოფლიოს თასზე ქართველთა რაგბობის ამსახველი ფილმი აჩვენეს. დარბაზში სიამაყის ტაშიც გაისმა, როცა ირლანდიასთან და ნამიბიასთან ჩვენებურების საოცარ თამაშს უყურებდნენ, მერე კი ქუთაისის „აიას“ პირველი საკავშირო დუბლიდან გასული ოცი წლისთავიც აღნიშნეს და დაჯილდოვებაც დაიწყო...*

ჟურნალისტების და მწვრთნელების გამოკითხვით დასახელდა სეზონის სიმბოლური თხუთმეტეული, ანუ შინაური რაგბის სიმბოლური ნაკრები:

*15. ირაკლი ყიასაშვილი (ლელო)*
*14. ირაკლი გეგენავა (ყოჩები)*
*13. დავით კაჭარავა (ყოჩები)*
*12. ვილი კაიფაჯიანი (არმაზი)*
*11. სანდრო ნიჟარაძე (ყოჩები)*
*10. ლაშა ხმალაძე (ლელო)*
*9. ირაკლი ლვინჯილია (ლიგამუსი)*
*8. ზვიად მაისურაძე (ლიგამუსი)*
*7. ბექა სარდანაშვილი (ლელო)*
*6. ლევან გენებაშვილი (ყოჩები)*
*5. დავით დაუშვილი (ლელო)*
*4. მიხეილ არჩუაშვილი (ყოჩები)*
*3. ბექა შეყლაშვილი (ყოჩები)*
*2. ოთარ ტურაშვილი (ლიგამუსი)*
*1. ბადრი ყალიჩავა (ყოჩები).*

შარშან „ყოჩებმა“ დუბლი შეასრულეს, ჩემპიონატიც და თასიც დამაჯერებლად მოიგეს. საქართველოს სამ საუკეთესო გუნდს მედლებიც გადასცეს და „ყოჩებს“ ოფიციალურად ჩემპიონობაც მიულოცეს. რაც შეეხება ეროვნულ პირველობას, შინაურ ქომაგებს შევახსენებთ, რომ „ლოკომოტივს“ სახელი შეეცვალა და ახლა უკვე „ლიგამუსად“ იწოდება. უმაღლეს ლიგაში კვლავ აღზევდა ქუთაისური გუნდი, „არმაზმა“ კი გადათამაშებაში სძლია „აკადემიას“ და მინიმუმ ერთი სეზონი კიდევ ელიტაში ირაგბებს.

დაჯილდოვდა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მელელოვე, დინამოელი ლაშა აზალაძე, მთავარმექულედ ირაკლი ყიასაშვილი დასახელდა (ლელო), ხოლო ყველაზე კორექტულ გუნდად „ლელო“ აღიარეს.

უნდა გამორკვეულიყო ქართველ მწვრთნელთა სამეულს შორის ერთი საუკეთესოც. ერთმანეთს პირველობაში „ყოჩთა“ დამრიგებელი ნიკო ჭავჭავაძე, ნაკრების თავკაცი მალხაზ ჭეიშვილი და ლელოელი ლევან მაისაშვილი ეცილებოდნენ. ამ ნომინაციაში წლეულს ყველაფრის მომგებმა მოთამაშე-მწვრთნელმა, ფინალურ ჯახში გადამწყვეტი ლელოს გამტანმა ნიკო ჭავჭავაძემ იმარჯვა. სამივე მწვრთნელს პრიზებად ტელევიზორები გადასცეს.

ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეობის ნომინანტები დავით კაჭარავა (ყოჩები), გიორგი ასათიანი (ლოკომოტივი) და ირაკლი ყიასაშვილი (ლელო) იყვნენ. აქ დავით კაჭარავამ იპირველა.

დაჯილდოვების მთავარი მომენტი საღამოს მიწურულს შედგა. საუკეთესო ქართველი მორაგბე სამ კანდიდატს შორის შეირჩა. ირაკლი მაჩხანელს, დავით ზერაქაშვილსა და ნაკრების ექსკაპიტან ილია ზედგინიძის შორის მწვრთნელებმა და ჟურნალისტებმა „სილქ როუდ ბანკის“ ოქროს ბარათი, რომელზეც ათასი ევრო იყო დარიცხული, ირაკლი მაჩხანელს არგუნეს.

ბოლოს სიურპრიზად ერთი საგულისხმო ამბავი მოხდა. საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ და კომპანია „კვარციტის“ შეფმა დიმიტრი კალანდაძემ გააფორმეს ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ჩვენი რაგბი სეზონის განმავლობაში ნახევარ მილიონ ლარს მიიღებს.

**ზურაბ მიგრიაული**



# ბებერი ქორი ნაკრებიდან გაფრინდა
## ინგლისის ცაზე ვარსკვლავები ჩაქრნენ

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა მარტინ ქორიმ უარი განაცხადა ნაკრებში თამაშზე. 34 წლის მორკინალს ნაკრების თავკაცის პოსტზე დატოვებულმა ბრაიან ეშტონმა ექვსი ერის თასისთვის 2 თებერვალს „თვიქნემში“ უელსთან სათამაშოდ უხმო, მაგრამ ვეტერანმა მობურთალმა დელიკატურად განაცხადა უარი.

— ბრაიანმა დამირეკა და მთხოვა, ნაკრებში მეთამაშა, მაგრამ ჩემი მხრიდან ამ წინადადების მიღება სამარცხვინო იქნებოდა. უკვე 34 წლის ვარ, ერთდროულად ორ ფრონტზე ვერ ვიბრძოლებ. დავბერდი, სწრაფ ტემპს ველარ მივყვები. თუ მე კიდევ რამეს ვახერხებ, ეს მხოლოდ და მხოლოდ რაგბის უანგარო სიყვარულის დამსახურებაა. პროფესიონალი ვარ და ვიცი, რომ მაღალ დონეზე თამაშისთვის მაღალ სტანდარტებს უნდა ვაკმაყოფილებდე. სამწუხაროდ, ეს ასე აღარ არის. ნაკრებში მიწვევისთვის ულრმეს მადლობას ვუხდი ბრაიან ეშტონს. კარგია, როცა გენდობიან, მაგრამ რა ვქნა, სინანულით ვეუბნები უარს — თქვა მარტინ ქორიმ.

ინგლისის ნაკრებს კი ახალი სისხლი უნდა გადაესხას, ვინაიდან გუნდი უკვე დატოვეს ვეტერანმა ვარსკვლავებმა ჯეისონ რობინსონმა, ლორენს დალალიომ, მაიკლ ქეიიმ და ახლა მათ მარტინ ქორიც შეუერთდა.

**ზურაბ მიგრიაული**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კახა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორღოღლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოშრიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბულგარიევა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge